კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გალაქტიონ მაისაია

ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ბესიკ ალადაშვილი

თბილისი

2020

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ტრანსნაციონალური კორპორაციების არსი და განვითარების ეტაპები. აღწერილია გლობალიაზიაციის ერაში მათი როლი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე და ნაჩვენებია, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. კონკრეტული კორპორაციების მაგალითზე აღწერილია მისი დაარსებიდან განვითარების საბოლოო ეტაპამდე მოღვაწეობის პერიფეტიები.

ნაშრომში ასევე განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტული მეთოდები, მათი გამოვლენის ინდიკატორები და პარამეტრები. თეორიულ საკითხებთან ერთად გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციები და დებულებები. სახელმწიფოების მხრიდან მათ მიღწევაში გამოყენებული და პრაქტიკაში განხორციელებული ღონისძიებები.

წარმოჩენილია ქვეყნების და ტრანსნაციონალური კორპორაციების თანაარსებობის ძირითადი მიმართულებები და ისტრიული მაგალითებით ნაჩვენებია როგორც დადებითი ეფექტი, ისე კატასტროფული შედეგები. განსაზღვრულია თანამშრომლობის სწორი ფორმები და მათი რეგულირების მექანიზმები.

Galaktion Maisaia

The Influence of the Trans-National Corporations on the National Economic Security

Annotation

The research reviews what are transnational corporations and phases of their development. In period of Globalization, the research describes and assesses influence and effect of the corporations on a nation-state economic development and comparative consequences of the influence – positive and negative sides. On cases of the concrete corporations are being prescribed all phases of the development from starting point till final stage.

The research reveals main aspects of economic security development and priority methods, economic security indicators and parameters. In conjunction with theoretical issues, the research scrutinizes various concepts of economic security of different countries (including Georgia). It is also indicated how the states are realizing the economic security provisions in practical manner.

Moreover, the research ascribes connotation between states and transnational corporations and their interrelations and the passage is being reviewed with positive and negative aspects of the interdependence between actors. In addition to that the research considers how the cooperation should be positively developed and mechanisms of their regulation.

შინაარსი

ანოტაცია.....1

Annotation.....2

შესავალი.....4

თავი 1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის ერაში.....9

1.1. ტრანსნაციონალური კორპორაციები: ისტორია და დღევანდელობა.....9

1.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში.....18

თავი 2. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები.....26

2.1. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მიზნები.....26

2.2. ეკონომიკური საფრთხეებიის კლასიფიკაცია.....31

2.3. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები და პარამეტრები.....35

2.4. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტული მეთოდები.....38

თავი 3. ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.....44

3.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის ტრანსფორმაცია თანამედროვე ეტაპზე.....44

3.2. ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.....52

3.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე: პოზიტიური და ნეგატიური შედეგები.....67

დასკვნა.....72

გამოყენებული ლიტერატურა.....74

შესავალი

<u>თემის აქტუალურობა:</u> XXI საუკუნის საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების მთავარ ტენდენციას წარმოადეგნს გლობალიზაცია. სუვერენული ქვეყნების ეკონომიკები ფართოდ გაღებული კარით მიესალმებიან აღნიშნული პროცესიდან მიღებულ სიკეთეებს (კაპიტალის შემოდინება, ტექნოლოგიური სიახლეები, სოციალური პირობების გაუმჯობესება) და მთავრობები მაქსიმალურად ცდილობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ყველანაირი პირობების შექმნას. ყოველივე ამაში, მთავრი როლი ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ეკუთვნით.

განუსაზღვრელი ფინანსური შესაძლებლობებით, ტნკ-ები აღრმავებენ გლობალიზაციის პროცესს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკებს საშუალება აძლევს უცხოური კაპიტალის მოზიდვის, უახლესი ტენოლოგიური სიახლეების დანერგვის და თანამედროვე მენეჯერული უნარჩვევების გაცნობის. ეს ფაქტორები განსაზღვრავს შემდგომში ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების გამოვლინებას, წარმოების უპირატესობის მოპოვებას, სანედლეულო ბაზრის დივერსიფიცირებას, დასაქმების კუთხით სოციალური საკითხების მოგვარებას და ა.შ. შესაბამისად, მთავრობები ცდილობენ ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის შექმნან „სასათბურე პიროებები“ (მათ შორის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული კუთხით) და გააკეთონ გამონაკლისებიც.

სახელმწიფოს მხრიდან სწორად განსაზღვრული ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა არის საწინდარი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის, შესაბამისი კანონების მიღების და რეფორმების განხორციელების, რაც საბოლოო ჯამში აისახება ნაყოფიერ თანამშრომლობაში ტნკ-ებსა და ქვეყნებს შორის.

საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სიტუაცია საჭიროებს არსებული პოტენციალის განსაზღვრას და სრული გამოყენებას, რათა მოხდეს ეკონომიკის სტიმულირება და გაჯანსაღება. ამავე დროს მნიშვნელოვანია ქვეყნის ინტერესების დაცვა და სამამულო ბიზნესის (ინვესტიციების) განვითარება. იმის

გათვალისწინებით, რომ ქართულ რეალობასთან მიმართებაში რთულად მოიძებნება ნეიტრალური მიდგომის (არც ულტრალიბერალური, არც ულტრანაციონალური), განზოგადებული და წარმატებული ქვეყნების მაგალითზე დაფუძნებული კვლევები, აღნიშნული ფაქტი ნაშრომის აქტუალურობას ხაზს უსვავს.

<u>საკვლევი თემის მიზნებია:</u>

1. წარმოჩენილი იქნას ტრანსნაციონალური კორპორაციების რეალური მნიშვნელობა და ადგილი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკურ სისტემებში;
2. განისაზღვროს ეკონომიკური უსაფრთხოების აკადემიური და რეალური არსი და მისი შემადგენელი კომპონენტები;
3. მოპოვებული მასალების საფუძველზე სიღრმისეულად შესწავლილი იქნას ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ეკონომიკური უსაფრთხოების პროცესებზე.

<u>საკვლევი თემის ამოცანებია:</u>

1) გამოკვლეულ იქნას ტრანსნაციონალური კორპორაციების პირდაპირი გავლენა ეკონომიკური უსაფრთხოების პირობებზე და როგორ მიიღწევა აღნიშნული;
2) გამოიკვეთოს ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემაში.

<u>საკვლევი საგანს</u> წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციების ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში და მათი გადაკვეთა ეკონომიკური უსაფრთხოების მოვლენებთან.

<u>კვლევის ობიექტია</u> ეკონომიკური უსაფრთხოების და ტრანს-ეროვნული კორპორაციების არსი და მათი მოქმედების არეალი.

<u>საკვლევი კითხვები:</u>

1) რას წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციები და რა როლს ასრულებენ ისინი თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში?

2) რას წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება და როგორ გამოიკვეთება მათი ინდიკატორები?

3) როგორ იკვეთება ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და ადგილი ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში?

<u>კვლევის მეთოდი:</u>

ნაშრომის შექმნის და მოცემული კვლევის დამუშავების დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

ა) შემთხვევის გარჩევა „Case study“ - დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში.

ბ) ე.წ. „SWOT Analysis“-ის მეთოდი დაგვეხმარა უკეთ წარმოგვეჩინა არასახელმწიფოებრივი აქტორების ძლიერი და სუსტი მხარეები და სწორად განგვესაზღვრა მისი როლი და ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში,

გ) თვისობრივი კვლევის მეთოდები (მონაცემთა ანალიზი, ინტუიტიურ-ლოგიკური მეთოდი, ისტორიულ-აღწერილობითი, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, პოლიტიკის კვლევის ანალიზი; კონტენტ ანალიზი; ივენტ-ანალიზი)

გამოყენებული მეთოდები ძირითადად დაეფუძნა ემპირიული კვლევის საფუძვლებს, რაც მოიცავს მეცნიერული მიდგომის ერთგვარ იარაღს - ლოგიკას, ანუ სწორად აზროვნების სისტემას, რომელსაც ფაქტობრივი დაკვირვების საფუძველზე მივყავართ სანდო დასკვნის გაკეთებამდე,

<u>კვლევის თეორიული ჩარჩო/მეთოდოლოგია:</u> კვლევის ჩატარებისას, გამოყენებული იქნა საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემდეგი სახის თეორიული და კონცეფტუალური მიდგომები:

ა) ურთიერთდამოკიდებულების თეორია: ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფოებს შორის გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულება ამცირებს ერთმანეთის საპირისპიროდ კონფლიქტში ჩართვის შესაძლებლობას, აღნიშნული ურთერთდამოკიდებულება ასევე ეხება ეროვნულ ტრანსნაციონალური კორპორაციების თანამშრომლობასაც და ასევე მათ ურთიერთობებს სახელმწიფოებთანაც. მისი მომხრეების აზრით, მოდერნიზაცია

და გლობალიზაცია წარმოადგენენ ხელშემწყობი პროცესებს სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების დონის გაზრდისთვის;

ბ) თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: ამ თეორიის მიხედვით ქვეყნების კოალიციაში გაწევრიანება, ან თანამშრომლობითი კავშირების შექმნა დანარჩენ ქვეყნებთან, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. ასეთივე მიდგომები განიხილება ტრანსნაციონალური კორპორაციების თანამშრომლობა სახელმწიფოებთან და მათ ალიანსური განვითარება ბიზნესის წარმოებისას. თუმცა, ყველზე მტკიცე განმაპირობებელ ფაქტორად საერთო საფრთხის აღქმა უნდა ჩაითვალოს. საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობით კავშირში შესაძლებელია გაერთიანდნენ ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებსაც განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპები გააჩნიათ. სახელმწიფოებს თანამშრომლობისაკენ უბიძგებთ გარკვეული საფრთხეების გლობალიზაცია, რომელთანაც ინდივიდუალურად უძლურნი არიან და ამიტომ აყალიბებენ საერთო კავშირებს;

გ) უსაფრთხოებიზაციის თეორია (Securization Theory): ამ თეორიის ფარგლებში გამოკვეთილია ნეორეალისტური ხედვა პოსტ-ინდუსტრიულ ეპოქაში საფრთხეების იდენტიფიკაციის მნიშვნელობის შესახებ. ამავე თეორიის ფარგლებში უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებად დაფიქსირებულია ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მისი გავლენა გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო საზოგადოების განვითარების საქმეში. ამიტომაც მისი გამოყენება ჩვენს კვლევაში წარმოადგენს აქტუალურ საკითხს და სწორედ ეკონომიკური უსაფრთხოების რაობის და მისი ინდიკატორების წარმოჩენა არის მნიშვნელოვანი გარემოება.

აღნიშნულ საკითხზე დამუშავებული მეცნიერული ლიტატურიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ნაშრომები:

ალადაშვილი ბ. „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“. საზოგადოება “ცოდნა“, თბილისი, 2011 წელი - მონოგრაფია ეძრვნება გლობალიზაციის პროცესში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების შესწავლას. თეორიული საფუძვლების

დამუშავებასთან ერთად ავტორი სრულად გადმოგვცემს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ პრიორიტეტებს, რაც ხაზს უსვავს მის პრაქტიკული ღირებულებას.

ჯოლია გ. „საეთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 2015 წელი - ნაშრომში სრულად ასახულია თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველა მნიშვნელოვანი თეორიულ-პრაქტიკული ასპექტი. უახლესი წლების მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ტენდენცია.

თეთრუაშვილი ზ. და თეთრუაშვილი მ. „საქათველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საგაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობობეში“, შიდა ქართლის საერთო უნივერსიტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2006 წელი - ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორების გავლენა მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების უსაფრთხოებაზე. შემოთავაზებულია მათი რეგულირების ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმები და მოცემულია ამ ფაქტორების მოქმედების ირგვლივ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიმდინარე თეორიულ-მეთოლდოლოგიური დისკუსიების გადაწყვეტები.

A. Collins “Contemporary Security Studies”, second edition, Oxford University Press, New York, 2007 - ნაშრომში გადმოცემულია ეკნომიკური უსაფრთხოების პარამტრები კლასიფიკაცია, მათი გამოვლენის მეთოდები და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები.

J. Spero and J.Hart “ThePolitics of International Economic Relations”, seventh edition, Wadsworth Cengage Learning, USA, 2010 - თანმიმდევრულად ასახულია გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოების და ტრანსნაციონალური კორპორაციების ურთიერთობები, მათი განვითარების ეტაპზები და თანამედროვე ტენდენციები.

თავი 1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის ერაში

1.1. ტრანსნაციონალური კორპორაციები: ისტორია და დღევანდელობა

ტრანსნაციონალური კორპორაცია (ტნკ) არის საწარმო, რომელიც ეწევა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს (პიუ) და რომელიც ფლობს ან აკონტროლებს სამეწარმეო საქმიანობას ერთზე მეტ ქვეყანაში. ტნკ-ები აფინანსებენ საზღვარგარეთული ოპერაციების გარკვეულ ნაწილს მშობელი ფირმის ქვეყნიდან თანხის (და სხვა წარმოების საშუალების) გადაცემით მასპინძელი ქვეყნის კომპანიაზე (ჩვეულებრივ ეს არის შვილობილი კომპანია, მაგრამ ასევე შესაძლებელია ერთობლივი კომპანის თანაარსებობა სხვა ფირმასთან). ამ ოპერაციას პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (პიუ) ეწოდება. ამგვარად, ტნკ-ები აღნიშნული ქმედებით ფლობენ ან აკონტროლებენ უცხოური აქტივებს. დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ტნკ-სა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედება მეტად აქტუალურია და ზოგჯერ კონფლიქტურიც კი[1].

ტნკ-ების ყველაზე ადრეულ ჩანასახებად შეგვიძლია ჩავთვალოთ დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით ინგლისისა და ჰოლანდიის კოლონიზაციული და იმპერიალისტური საწარმოები, რომელიც მე-16 საუკუნეში დაიწყო და მომდევნო რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში შეიქმნა ისეთი კომპანიები, როგორიცაა ბრიტანეთის აღმოსავლეთ ინდოეთის სავაჭრო კომპანია, რომლის მთავარი მიზანი იყო ხელი შეეწყო თავისი მშობელი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში და ტერიტორიული ექსპანსიისთვის შორეულ აღმოსავლეთში, აფრიკასა და ამერიკაში. კლასიკური სახის ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორიც

[1] გ. ჯოლია „საეთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 20, გვ.451

დღესდღეისობით ჩვენთვის არის ცნობილი, გამოჩნდა XIX საუკუნეში, ინდუსტრიული კაპიტალიზმის აღზევებით და მისი შედეგებით: ქარხნული სისტემის განვითარებით; წარმოების ინტენსიური პროცესებით; მარაგების შენახვის უკეთესი პირობებით და სწრაფი ტრანსპორტირების საშუალებებით. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, საწარმოო ნედლეულის ძიებამ, ადგილობრივი წარმოების განვითარების გაზრდილმა მოთხოვნამ ბიძგი მისცა ტნკ-ების საქმიანობის გაფართოვებას აშშ-ს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საზღვებს გარეთ. ამ კორპორაციების ინვესტიციების სამოცი პროცენტი გადავიდა ლათინურ ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ამ პერიოდს ემთხვევა მონოპოლისტური და ოლიგოპოლური ტნკ-ების შექმნა ისეთ დიდ სექტორებში, როგორიცაა ნავთობი, საკვები, ტექნიკა და ა.შ.. მაგალითად, აშშ-ს აგრობიზნესის გიგანტ United Fruit Company-მა 1899 წლისთვის აკონტროლებდა შეერთებული შტატების ბანანის იმპორტის 90%, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში Royal Dutch / Shell- ის წილად ნავთობის მსოფლიო მოპოვების 20%-ს მიაღწია. 1970-იან წლებში, რამოდენიმე განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ორინტირებული იყვნენ ექსპორტზე ორინტირებულ სავაჭრო პოლიტიკაზე დაიწყეს ხილის წარმოება[2].

პირველ და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ევროპულ ტნკ-ებს მოუწიათ კორპორატიული ინვესტიციების გარკვეულწილად შემცირება, ამავე დროს იზრდებოდა აშშ-ს ტნკ– ების აქტიურობა. იაპონიაში, ამ პერიოდს ემთხვევა კორპორაცია ზაიბაცუს ზრდა, რომელიც იაპონიის სახელმწიფოსთან თანამშრომლობდა და ოლიგოპოლური კონტროლი ჰქონდა ქვეყნის ინდუსტრიულ, ფინანსურ და სავაჭრო სექტორებზე. ამავე პერიოდში, ამერიკელმა კომპანიებმა დაიწყეს ქვეყნის დატოვება და დაიწყეს კორპორატიული კაპიტალის გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ[3].

[2] J. Spero and J.Hart "ThePolitics of International Economic Relations", seventh edition, Wadsworth Cengage Learning, USA, 2010, p.270

[3] M. Slaughter "How U.S. Multinational Companies Stregthen the U.S. Economy", Buisness Roundatable, U.S. Counicl Foundation, Washington, the USA, spring 2009, p.5

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ბრეტონ ვუდსის შეთანხმების პირობებმა აშშ-ს ტნკ-ებისთვის უსაზღვრო შესაძლებლობები შექმნა საზღვარგარეთ ინვესტირებისათვის. 1960-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის პოსტკრიზისული პერიოდის დაძლევის შემდეგ, აშშ-ს ტნკ-ებთან ერთად, ევროპული და იაპონური ტნკ-ები ფართოდ გამოვიდნენ ასპარეზზე, ამ ქვეყნების ბანკებმა დაიწყეს უზარმაზარი თანხების ინვესტიცია ინდუსტრიულ სექტორში, კორპორაციული შერწყმის წახალისებისა და კაპიტალის კონცენტრაციის ხელშემწყობის გზით. ტრანსპორტირების (განსაკუთრებით საჰაერო გზით), კომპიუტერიზაციისა და კომუნიკაციების მნიშვნელოვანმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა დააჩქარა ტნკ–ების ინვესტიციისა და ვაჭრობის ინტერნაციონალიზაცია, ხოლო ახალმა სარეკლამო შესაძლებლობებმა ხელი შეუწყო ტნკ–ს ბაზრის განვითარებაში. ყველა ეს ტენდენცია გულისხმობდა იმას, რომ 1970-იანი წლების ტნკ– ების როლი გლობალურ ეკონომიკაში ბევრად განსხვავებული მასშტაბის იყო, ვიდრე საუკუნის დასაწყისში. მაშინ როცა, 1906 წელს არსებობდა ორი ან სამი წამყვანი კომპანია, რომელთა აქტივებიც 500 მილიონი აშშ დოლარს შეადგენდა, 1971 წელს ისეთი ტნკ-ების რიცხვი, რომელთა აქტივები 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი იყო, შეადგენდა 333-ს, გარდა ამისა, ეს ტნკ– ები აკონტროლებდნენ მსოფლიო ვაჭრობის 70-80 პროცენტს[4].

1970-იანი წლების შემდგომი გლობალიზაციის პერიოდის ერთ-ერთი განსხვავებული მახასიათებელი იყო ტნკ–ების გავრცელება ბევრ ქვეყანაში, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ საკუთარი ტნკ და არასოდეს უმასპინძლებიათ მათი შვილობილი კომპანიებისთვის. მიმღები და მასპინძელი ქვეყნების რაოდენობა და ტნკ-ების მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1994 წელს, მაგალითად, იყო 37,000 ტრანსნაციონალური მშობელი კომპანია, რომლებიც აკონტროლებდნენ 200 000 – ზე მეტ უცხოურ შვილობილ კომპანიებს. 2006 წლისთვის იყო 78,000 ტნკ (90% დაფუძნებულია ინდუტრიულად

[4] C. Baglery „Managers and the Legal Environment: Strategies for the 21st Century", third ediion, West Educational Publishing Company, USA, 1999, pp.751-753

განვითარებულ ქვეყნებში), რომელთა საზღვარგარეთ 780,000 პარტნიორი და შვილობილი კომპანია ყავდა. 1989 წლის შემდეგ ყოფილი კომუნისტური ქვეყნები ხელს უწყობდნენ უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

გლობალიზაციის პირობებში ტნკ-ების განვითარების თავისებურებად შეგვიძლია ასევე ჩავთვალოთ მიმღები ქვეყნების მხრიდან (მაგ: ინდოეთი და ჩინეთი) მზარდი კონკურენციის გაწევა აშშ ტნკ-ებისთვის, მაშინ როცა ეს ქვეყნები წარმოადგნენ ერთნაირად წარმატებულ როგორც მშობელ, ისე მიმღებ ქვეყანას.

დღესდღეობით ტნკ-ები განვითარების ახალ ეტაპზე გადადიან, რომლებიც თავად ხდებიან დამოუკიებელი მონაწილეები მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკის ასპარეზზე. „მათი კაპიტალი გარდაიქმნება თითქმის დამოუკიდებელ ორგანიზმად, რომელსაც გააჩნია თავისი დამოუკიდებელი გზა განვითარების. ზოგიერთი ტნკ-ის სიძლიერე უტოლდება საშუალო ზომის სახელმწიფოებს, მაგალითად ამერიკული კორპორაციის „General Mottors"-ის გაყიდვების მაჩვენებელი უტოლდება მშპ-ს ისეთი ქვეყნებისა, როგორებიც არის შვეიცარია და ავსტრია"[5].

XXI საუკუნეში ტნკ-ები გახდა განვითარებადი სახელმწიფოების განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. განვითარებად ქვეყნებში მათი ოპერირების შედეგები სხვადასხვანაირად ფასდება, როგორც დადებით, ისეთ უარყოფით ასპექტში. ტნკ- ები სარგებლობენ განვითარებადი ქვეყნების მთავრობის მიერ დაწესებული დაბალი გადასახედებით და შერავათებით. მეორეს მხრივ, ეს ქვეყნები ღებულობენ ტნკ-ების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას. ტნკ-ებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სიღარიბის შემცირებას, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას, ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფით სამუშაო ადგილების შექმნით. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეკონომიკის განვითარებას ტექნოლოგიისა და ცოდნის გადაცემით, გაუმჯობესდეს ან შეიქმნას ინფრასტრუქტურა, გაზარდონ ადამიანების ცხოვრების დონე. საერთო

[5] https://www.britannica.com/topic/General-Motors-Corporation#ref337407

ჯამში, შეიძლება ჩანდეს, რომ განვითარებადი ქვეყნები სარგებლობენ ტნკ-ების ინვესტიციების მხოლოდ დადებითი მხარით. თუმცა არის უარყოფითი მხარეც. ტნკ- ების უმეტესი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს განვითარებად ქვეყნებს, რადგან აქ არ არის ადამიანის უფლებები სათანადოდ დაცული, პროფკავშირები სუსტია და ბუნების დაბინძურებაზე რეგულაციები ძალიან სუსტია. ამრიგად, განვითარებად ქვეყნებში ტნკ-ის ეფექტიანობის შესახებ თეორიული დავა შეიძლება გამომდინარეობდეს აზრთა სხვადასხვაობისგან - პოზიტიური და უარყოფითი. ერთნი ხაზს უსვამენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პიუ) დადებით შედეგებს, მაშინ როცა სხვები აღნიშნულ აქტივებს უარყოფით ასპექტში განიხილავენ. მოკლედ მიმოვიხილოთ ორივე მხარე:

დადებით მხარედ შეგვიძლია განვიხილოთ:

ა) ეკონიმიკის ზრდა: ტნკ-ები განვითარებადი ქვეყნებისთვის ეკონომიკის მთავარ სტიმაულატორად შეგვიძლია ჩავთვალოთ. პუი პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნის მთლლიანი შიდა პროდუქტის და საგადამხდელო ბალანსის ფორმირებაზე.

ბ) ექსპორტზე დაფუძნებული ეკომომიკის განვითარება: განვითარებადი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ექსპორტზე დაფუძნებული ეკომომიკის განვითარება და ამისთვის მას ჭირდება ადგილობრივი კომპანიების სუბსიდირება და წახალისება, ისეთი სფეროების გამოყოფა, რაშიც ექნება შეფარდებითი უპირატესობა და ამ დარგის (ან დარგებისთვის) პოლიტიკის შემუშავება. რიგმა აზიის ქვეყნებმა, რომლებმაც მოიზიდეს სტრატეგიული პარტნიორი ტნკ-ები, აშკარად დაამტკიცეს რომ ამგვარი პოლიტიკა დაეხმარა მათ სხვა ქვეყნებში ექპორტის განვითარებაში. სწორედ ტნკ-ების დახმარებით გახდნენ მალაიზია და ტაილანდი „გლობალური სასაქონლო ქსელები“, რომლების განვითარებადი ქვეყნების მწარმოებლებს აკავშირებენ მოწინავე ქვეყნის მომხმარებლებს. სინგაპური, რომელიც არ გამოირჩევა მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, პროაქტიურმა ინდუსტრიულმა სტრატეგიამ და თანმიმდევრულმა პოლიტიკამ ტნკ-ებთან, მისცა დასაბამი ქვეყნის განვითარებას

გ) კაპიტალის ფორმირება: ტნკ-ები საკუთარი კაპიტალის ტრანსფერით მიმღებ ქვეყნებში ქმნიან ფინანსურ რესურსებზე და საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობას. განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის მთლიანი ნაკადის მნიშვნელოვანი წილი მოდის ტნკ-ების ინვესტიციიდან; მაჩვენებელი მერყეობს 14.9% -დან 51.5% -მდე მთლიანი შემოდინების განვითარებად ქვეყნებში[6]. კვლევებმა აჩვენა, რომ ტნკ უფრო ორიენტირებულები არიან ექსპორტზე, ვიდრე ადგილობრივი ფირმები[7].

დ) ტექნოლოგიური სიახლეები: აქაც აზიური ქვეყნები (ტაილანდი, სამხრეთ კორეა, ბანკოკი) შეგვიძლია მოყვანოთ მაგალითად, რომ ტნკ-ებმა ტექნოლოგიების გადაცემით და ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობით, როგორ განავითარეს და რაოდენ დიდი წვლილი შეიტანეს განვითარებადი ქვეყნების პროგრესირებაში. სწორედ ტნკ-ები აძლევენ განვითარებად სახელმწიფოებს ისარგებლონ მათ მიერ ჩატარებული უახლოესი კვლევები. ტნკ-ების ინვესტირებით ხდება თანამედროვე ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობა, რომელიც სხვაგვარად იქნებოდა განვითარებადი ქვეყნების მიღმა[8]. ამავე დროს ხდება ადგილობრივი მუშახელის გადამზადება და სამამულო ტექნოლოგიური მიღწევების დასტიმულირება, რაც წარმოებული პროდუქციის ხარისხის და შესაბამისად კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების საწინდარია. ცალკე ბენეფიტად შეგვიძლია გამოვყოთ იმ ცოდნის და უნარ-ჩვევების გაზიარება, რომელსაც ტნკ-ების მენეჯმენტი უზრუნველყოფს ადგილობრივი დასაქმებულთათვის. ხშირად განათლების დაბალი დონის გამო მსგავს კომპანიებს უხდებათ თანამშრომლების გადამზადება კომპანიის სათავო ოფისში მივლინებით, ჯგუფური ტრეინინგების ჩატარება ასევე საკმაოდ ძვირია, თუმცა ტნკ-ები ამას უზრუნველყოფენ, რითაც აუმჯობესებენ დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლებას.

---

[6] "World Investment Report 1995: Transnational Corporations and Competiteveness", UN Conference on Trade and Development, Geneva, 1995, p.409

[7] J. Markusen and A. Venables "Multinational Firms and New Trade Theory", National Bureau of Economic Research, Cambridge, 1995, pp.3-4

[8] J. Spero and J.Hart "ThePolitics of International Economic Relations", seventh edition, Wadsworth Cengage Learning, USA, 2010, p.288-289

ე) „სუფთა გარემო“: ხშირად ტნკ-ს აქვთ ერთიანი სამუშაო სტანდარტი, როგორც მშობელ ქვეყანაში, ისე მიმღებ ქვეყანაში მოქმედი საწარმოებისთვის, აქედან გამომდინარე ურჩევნიათ განვითარებად ქვეყნებს ქონდეს (და შესაბამისად აწესებენ) გარემოსდაცვითი ისეთივე სტანდარტი, როგორც განვითარებულს. ამ კუთხით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დღეს მსოფლიოში ტრანსეროვნული კორპორაციები ახდენენ წარმოებას ორგანიზებას იქ, სადაც არის ნედლეული და იაფი მუშახელი, ხოლო მზა პროდუქციას ყიდიან იქ სადაც არის ხელსაყრელი ბაზარი და „სუფთა გარემო“[9]. ამ თეორიას ამყარებს ინდონეზიაში 300 საწარმოში ჩატარებული კვლევა 1996 წელს. უცხოური კომპანიების კუთვნილ საწარმოებს ნარჩენებში დაბინძურების დონე გაცილებით დაბალი აღმოაჩნდა, ვიდრე კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ კომპანიებს.

ვ) სიღარიბის დაძლევა: დიდბიუჯეტიან ტნკ-ებს შეუძლიათ დაასაქმონ ბევრი უმუშევარი ერთდროულად და ამით ცხოვრება გაუუმჯობესონ როგორც დასაქმებულებს, ისე შეღავათი მიცეს სახელმწიფოებს, რომელთათვის უმუშევრობა ერთერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ტნკ-ები ასევე ახორციელებენ სოციალურ პროგრამებს, კორპორატიულ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში აფინანსებენ მრავალ ღონისძიებებს, მაგალითად როცა დაიმლერ-ბენცმა 1991 წელს საწრმო გახსნა ბრაზილიაში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტში განაახლა სკოლები, გახსნა სამედიცინო დაწესებულებები და მოსახლეობის ცხოვრების დონე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამასთან, სამამულო კომპანიებთან შედარებით ხელფასი ტნკ-ებში მომუშავეთათვის, რგორც წესი უფრო მაღალი. თანამშრომლებს სარგებლობენ კორპორატიული დაზღვევი უკეთესი პირობებით. კარიერული წინსლის პერსპექტივა უკეთესია კომპანიის სიდიდიან გამომდინარე. მაგ: 2001 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ დაადგინა, რომ ინდონეზიაში უცხოური საკუთრებაში არსებული კომპანიები 33% -ით მეტს

[9] ა. გასანოვი „გეოპოლიტიკა“, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის აკადემია, ბაქო, 2012 წელი, გვ.168

უხდიდნენ ე.წ. „ცისფერი საყელოს“ დასაქმებულებს და 70%-ით მეტს - „თეთრი საყელოს“, ვიდრე ადგილობრივი ფირმები[10].

თუმცა შეგვიძლია განვიხილოთ ის მოსაზრებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ტნკ-ების ინვესტიციები უარყოფითად აისახება მიმღებ ქვეყნაზე. უარყოფით მხარეებად განიხილება:

ა) მიმღები ქვეყნის კომპანიების დაუცველობა: ”დამოკიდებულება არის სიტუაცია, რომელშიც გარკვეული ქვეყნების ეკონომიკა დამოკიდებულია სხვა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე და გაფართოებაზე... დამოკიდებული ქვეყნები დომინანტური ქვეყნების მიერ ექსპლუატაცის შედეგად ჩამორჩენილ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან”[11]. ტნკ-ებთან შედარებით ადგილობრივი კომპანიები არათანაბარ კონკურენტულ მდგომარეობაში არიან, რაც ხშირ შემთხვევაში მთავრდება ამ უკანასკნელის როლის შესუსტებით ქვეყნის ეკონომიკაში. შესაბამისად დამკიდებულება ქვეყნის უცხოურ დიდბიუჯეტიან კომპანიაზე იზრდება, რაც განვითარების შემდგომ ეტაპს ბუნდოვანს და არასახარბიელოს ხდის. ამასთან ტნკ-ები ადგილობრივ კაპიტალს უფრო იყენებენ (ადგილობრივი საფინანსო და საბანკო სექტორის გამოყენებით), ვიდრე საკუთარ მოზიდულს

ბ) კაპიტალის გადინება: არსებობს მოსაზრება, რომ განვითარებად ქვეყნებში პუი იწვევს კაპიტალის ეტაპობრივ გადინებას სესხების მომსახურების და დივიდენდის სახით. ასევე საიმპორტო და საექსპორტო ფასების მანიპულირებით. რა თქმა უნდა აქაც შეიძლება მოლაპარაკების თავდაპირველ ეტაპზე განისაზღვროს ის ზღვრული კაპიტალის გადინების დონე, თუმცა ინვესტიციებს მოწყურებული ქვეყნები, ამაზე ნაკლებად ზრუნავენ, რომ ქვეყნის საინვეტიციო გარემო არ დაჩრდილონ და მაქსიმალურად მიმზიდველად წარმოაჩინონ. ძალიან რთულად აისახება განვითარებად ქვეყნებზე, როცა ტნკ-ები ტოვობენ მიმღებ ქვეყანის ბაზარს, მაგ: როცა საქართველოში „სოსიეტე

[10] S. Ferdausy and S. Rahman “Impact of Multinational Corpratioons on Developing Countries” in Journal of Buisness Admministration, Vol.24, the Chittagong Uniersity, December 2009, pp.118-119

[11] T. Santos “The Structure of Dependence” in journal “American Economic Review” Vol.60, No.2, American Economic Association, USA, 1970, p.180

ჟენერალმა“ გაყიდა აქტივები და მიღებული თანხა გავიდა ქვეყნის ეკონომიკიდან (დაახლოებით 345 მლნ აშშ დოლარი), ეროვნული ვალუტა მყისიერად გაუფასურდა, რის გამოც მაშინდელ პრემიერ მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, მოუწია ვრცელი სატელევიზიო განმარტების გაკეთება .

გ) დასაქმებულების ექსპლუატირება: კრიტიკოსებისთვის, ტნკ-ების დაინტერესება განვითარებად ქვეყნებში არის მხოლოდ იაფი მუშახელი და ბუნერბრივი რესურსები. ისეთი ცნობადი კომპანიები როგორიცაა Reebok და Nike არაერთხელ დაადანაშაულეს, რომ იყენებენ ინდონეზიელი მოსახლეობის უკიდურეს გაჭირვებას და თვეში მხოლოდ 39 აშშ დოარის ფასად ამუშავებენ მიუღებელ პირობებში, სამუშაო პირობების უხეში დარღვევებით, მაშინ როცა მათ მიერ შექმნილი ერთეული პროდუქციის ფასი 100 აშშ დოლარს უტოლდება. მაშინ როცა ინდონეზიის ეკონომიკა ვითარდება პუი-ის მოზიდვით, დასაქმებულების პირობები სულ უფრო უარესდება[12]. კრიტიკოსების მტკიცებით ტნკ-ები მიმღები ქვეყნის დასაქმებაში მინიმალური წვლილი შეაქვთ, რადგან მაშინ როცა მსგავი კომპანიები ასაქმებენ ათასობით მუშახელს, დაახლოებით ამდენივე კარგავს ადგილობრივ ბაზარზე სამსახურს ტნკ-ების მიერ გაკოტრებული კომპანიებიდან.

დ) გარემოს დაბინძურება: კრიტიკოსების მტკიცებით ტნკ-ებმა დიდი ზიანი მიაყენეს განვითარებადი ქვეყნების ეკოლოგიას. მათი ინტენსიური მუშაობიდან გამომდინარე, და ასევე დანახარჯების შემცირების მიზნით, რეკომენდაციების არასათანადოდ გათვალისწინების გამო, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხშირია შემთხვევები როცა ტოქსიკური ნივთიერებები ჩაეშვება მდინარეში, დიდი მოცულობის ნარჩენები არასათანადოდ ინახება, ხდება საშიში ნარჩენების არასაკმარისი განკარგვა. მრავალეროვნული ნავთობკომპანიები პროტესტის და კრიტიკის სამიზნე გახდნენ განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებული

[12] “World Investment Report 2006” by the UN Conference on Trade and Development, Geneva, 2006, pp.267-268

დაბინძურების და ადამიანის უფლებების დარღვევისთვის, მაგალითად, ნიგერია, ინდონეზია და, მათ შორის, კასპიის რეგიონი[13].

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტნკ-ების გავლენა მასპინძელ სახელმწიფოებზე არის როგორც პოზიტიური, ისე უარყოფითი. მართალია, ტნკ-ები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ განვითარებად ქვეყნებში. მათ შეუძლიათ შექმნან ათასობით სამუშაო ადგილი, დაატრეინინგონ ისინი და ხელი შეუწყონ მაღალი დონის უნარების განვითარებაში. უფრო მეტიც, ტნკ-ები ხელს უწყობენ მშპ-ის ზრდას და კაპიტალის ფორმირებას, სიღარიბის შემცირებას. ამასთან, ისინი შეიძლება დავადანაშაულოთ გარემოს დაბინძურებაში ან ადამიანის უფლებების ბოროტად გამოყენების საქმეში.

1.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით საერთაშორისო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი კონტროლდება რამდენიმე ასეული კორპორაციის მიერ, რომელთა უმრავლესობა ეკონომიკურად უფრო დიდია ვიდერე ზოგიერი ქვეყანა, შესაბამისად განვითარებადი ქვეყნებისათვის ძალიან რთულია მათი რეგულირება. გამომდინარე იქედან, რომ უდიდესი ტნკ-ების სამშობლო არის აშშ, უმნიშვნელოვანესია მკაცრი რეგულაციების გატარება აშშ-ში, რადგან შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც ხელს შეუწყობს განვითრებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვას. ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ტნკ-ების კონტროლის კუთხით აშშ-სთვის არის გაეროს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლების და შრომის უფლბების დაცვას.

ტნკ-ები უფრო და უფრო მეტად ერევიან ჩვენი ცხოვრების ფორმირებაში, რადგან ისინი ჩართულნი არიან მთელი მსოფლიოს მაშსტაბით ისეთ სფეროებში

[13] J. Wallerstein "Geopolitics and Geoculture: Essays on the Change in World System", Cambridge University, Great Britain, 1992, p.55

როგორიცაა წარმოება, მოხმარება, ფინანასები, კულტურა. მათი უნარი თავიდან აირიდონ სახელმწიფო რეგულაციები, ასევე მათი მზარდი ძალაუფლება ადგილობრივ მთავრობებზე იწვევს შეშფოთებას მთელს მსოფლიოში.

გაეროს განსაზღვრების მიხედვით ტრანსნაციონალური კორპორაცია არის კომპანია, რომელიც ფლობს და აკონტროლებს აქტივებს ერთ ან მეტ ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ბევრმა დიდმა კომპანიამ დახვეწა ტექნოლოგიები ტრანსპორტირებასა და კომუნიკაციაში, იმისათვის რომ გაეტანათ პროდუქცია საზღვრებს გარეთ. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის თანახმად დაახლოებიოთ 40 000 ტრანსნაციონალური კორპორაცია და მათი შვილობილი კომპანიები აკონტროლებენ საქონლის და მომსახურების გლობალური ვაჭრობის ორ მესამედ. ამასთან, ძირითადად საერთაშორისო ვაჭრობა კონტროლდება რამდენიმე ასეული გიგანტური კორპორაციის მიერ, რომლებიც ეკონომიკურად უფრო დიდია ვიდრე კონკრეტული ქვეყნების უმეტესობა. მაგალითად 1995 წლის მონაცემებით ჯენერალ მოტორსის გაყიდვები მეტი იყო ვიდრე 169 ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, ამ ყვეყნებში შედიოდა საუდის არაბეთი, სამხრეთ აფრიკა, მალაიზია და ნორვეგია.

კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა ქვეყნებს შორის, მისი რთულადპროგნოზირებადი ხასიათიდან გამომდინარე ხელს უშლის მთავრობებს გეგმიური გავლენა მოახდინოს ქვეყნის განვითარებაზე. ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ისინი არბილებენ რეგულაციებს, აკეთებენ გამონაკლისებს და უქნიამ „სასათბურე პირობებს“ ტნკ-ებს ძირითადად დასაქმებულთა უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პირობების გაუარესების ხარჯზე. ამგავრი ხარჯების არიდება ზრდის მოგებას, რაც ქვეყანას ხდის მიმზიდველად კომპანიებისთვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ს ლიდერები იყენებდნენ საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტებს იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ აშშ-ში დაფუძნებული საერთაშირისო კორპორაციებისათვის გაფართოებაში. ზეწოლით და ლობირებით აშშ-ს პოლიტიკოსებმა შექმნეს მშობლიური ტნკ-ებისთვის

შეაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე მსოფლიოს მაშტაბით. ასეთი ორგანიზაციები სარგებლობდნენ პრივილეგიებით - საგადასახადო შეღავათების სახით, პუი-ის დროს სახელმწიფო ასუბსიდირებდა მათ, ექსპორტის დროს ღებულეობდნენ შეღავათიან სესხებს. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით სავაჭრო ხელშეკრულებების სტანდარტიზირებამ გაადვილა და დაცული გახადა საქონლის და მომსახურების ექსპორტი, ისევე როგორც ინვესტიცია. იმ დროის ტნკ-ები სოციალურ პასუხისმგებლობისგან როგორც მორალურად, ისე კანონის დონეზე იყვნენ გათავისუფლებულები.

მოგვიანებით, პროფკავშირების და არასამთავრობო ორგანიზაციების ზეწოლის შემდეგ, მთავრობა აიძულა შეეცვალა კანონები სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებში. 1970იან წლებში მიღებული აქტით, გამკაცრდა კორპორატიული მოსყვის და გამოძალვის შესახებ კანონი. 1980იან წლებში ამავე ჯგუფმა კონგრესს მიაღებინა კანონი, რომელიც აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობებში სხვა ქვეყნებსაც თანაბარ პირობებში აყენებდა და მათი მშრომელთა უფლებები დაცული იყო. ამავე კანონით, განვითარებად ქვეყნებისთვის აშშ-ს ბაზარი ხელმისაწვდომი ხდებოდა.

სოციალურად ორიენტირებული კორპორატიული ქცევის წესები გახდა მთავრობის სამოქმედო გეგმის ერთერთი ნაწილი. მნიშვნელოვანი პრეცენდენტი იყო 1986 წლის ანტი-აპარტეიდების ყოვლისმომცველი აქტი, რომელიც ავალდებულებდა აშშ-ს კორპორციებს სამხრეთ აფრიკაში წარმოებულ საქმიანობაში დაეცვათ თანადაბარუფლებიანობა შავკანიან და თეთრკანიან თანამშრომელთა მიმართ, რომ მათი სამუშაო პირობები, ანაზღაურება და პროფესიული საქმიანობაში მონაწილეობა არ ყოფილიყო დისკრიმინირებული. მოგვიანებით, აშშ-ს მთავრობამ მსგავსი აქტი გამოსცა ტნკ-ებისთვის, რომლებიც საქმიანობენ ჩინეთში[14].

[14] https://www.globalpolicy.org/social-and-economic-policy/the-environment/general-analysis-on-the-environment/49383--controlling-transnational-corporations.html

მიუხედავად მისა, რომ აშშ-მ, როგორც მსოფლიოში არსებული ტნკ-ეის აბსოლიტური უმრავლესობის სამშობლომ, რომ კომპანიების საქმიანობა გარკვეულ ჩარჩოებში მოექცია, ის ნაკლებად ჩაერია ტნკ-ების ოპერაციულ საქმიანობაში, რადგან ა) ჯერათ, რომ რაც კარგია (ფინანსურად მომგებიანია) კომპანიებისთვის, კარგია სახელმწიფოსთვის, და ბ) თავისი წილი პასუხისმგებლობა მიმღებ ქვეყანამაც უნდა აიღოს და მიიღოს შესაბამისი რეგულაციები და კანონები, რომელიც იქნება ოქროს შუალედი პუი-ის მოზიდვისა და საკუთარიინტერესების დაცვას შორის. ისიც აღსანიშნავია, რომ აშშ-ს მთავრობას არ მიუღია ყოვლისმომცველი (ყველაზე განვრცობადი) კანონი სოციალური და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის სავალდებულო გატარებასთან დაკავშირებით ქვეყნის მაშტაბით ყველა ტნკ-ებისთვის (რადგან ეს ხელს შეუშლიდა საერთაშორისო ვაჭრობის და ინვესტირების გაფართოვებას).

ზემოთმოყვანილი მაგალითის პარალელურად, ვაჭრობის შესახებ მიღებულ ისეთ შეთანხმებაში, როგორიც არის NAFTA, მშრომელთა უფლებებს გაცილებით ნაკლები ყურადღება ექცევა და აღსრულების ნაწილშიც არის პრობლემები. უდაოა, რომ აღნიშნული შეთანხმება არის წინგადადგმული ნაბიჯი (იგივე გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ჩათვლით), მაგრამ იგი ვერ იქნება სამაგალითო მოდელი ტნკ-ებისქცევის რეგულირებისთვის. ამ შეთანხმებების მიზანი მთავრობების მიზნების შესრულება უფროა, ვიდრე ინდივიდუალური კორპორატიული ქცევის ჩამოყალიბება. უმეტეს ქვეყანას, რომელთანაც აშშ-ს აქვს სავაჭრო ურთიერთობა, ძალიან სუსტი მარეგულირებელი სისტემა აქვთ. ამით სარგებლობენ კომპანიები და სწორედ მსგავს ქვეყნებს ეძებენ საკუთარი კაპიტალის ინვესტირებისთვის (მცირე რეგულაციები განაპირობებს მეტ მოგებას). მაგალითად: აშშ ავეჯის მწარმოებელი კომპანიებისთვის მექსიკა მიგნებაა, რადგან იქ ძალიან სუსტია გარემოსდაცვითი რეგულაციები და მშობელი ქვეყნის მომიჯნავე ქვეყანაა.

ბუშის და რეიგანის ადმინისტრაცია განსაკუთრებით დაუმორჩილებლობით გამოირჩეოდა გაერთიანებული ერების ეგიდით 1970 წელს დაარსებულ გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციების ცენტრის (UNCTC) მიმრთ. აღნიშნულმა

ორგანიზაციამ იარსება ცამეტი წელი, და მისი მიზანი იყო ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის ისეთი ქცევის კოდექსის დაწესებას, რომელიც განზოგადებული იქნებოდა, მასში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო როგორც შრომის, ისე გარემოც დაცვის პრინციპები, და აღსრულება მკაცრად კონტროლირებადი უნდა ყოფილიყო მთავრობების მიერ. 1992 წლის დედამიწის სამიტზე, UNCTC-ს წინადადება გარემოსდაცვასთან დაკავშირებული სავალდებულო ქცევის კოდექსი უგულებელყოფილ იქნა და ჩანაცვლდა ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსით, რომლის ავტორი იყო მდგრადი განვითარების ბიზნეს საბჭო (ორგანიზაცია, რომლის მმართველობაში შედიოდნენ ტნკ-ების აღმასრულებელი დირექტორიები)!

შედარებით რბილი და „ამომრჩევლის ხმისკენ“ მიდრეკილი იყო კლიენტონის ადმინისტრაცია. თუმცა ყველა მისი რეგულირებისკენ გადადგმული ნაბიჯი ნებაყოფლობით ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე სავალდებულოს. იდგმებოდა შოუები, სადაც ყველაზე სოცალურად პასუხისმგებლოან კომპანიებს გადაეცემოდათ ჯილდოები, რომელიც უფრო სარეკლამო ხასიათს ატარებდა.

საერთო ჯამში, აშშ-ს მთავრობებმა ვერ შეძლეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და გაეროს სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რიგი საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება, რომლის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. თავის მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციებს ექმნებათ აღნიშნული პროგრამების აღსრულების ნაწილში პრობლემები (პროგრამების, რომლებიც აუმჯობესებენ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს საერთაშორისო სტანდარტების ამაღლებით), რადგან აღნიშნული კონვენციების მიღება და რეგულირება დამოკიდებულია ქვეყნების მთავრობებზე, რომლებიც ვერ რისკავენ დაუპირისპირდნენ ორგანიზაციებს, რომლებიც ასპონსორებენ პარტიების თუ პიროვნებების საარჩევნო კამპანიას.

აუცილებელია ტრანსნაციონალური კოროპორაციების საქმიანობა უფრო მეტად იყოს მოწოდებული სამოქალაქო, სახელმწიფოებრივი და მრავალმხრივი რეგულაციების ეფექტურობისათვის. ვაშინგტონმა უნდა განაახლოს თავისი

ძალისხმევა და გაეროს ფინანსური მხარდაჭრა, რომ შეიქმნას საერთაშორისო ბიზნესის ქცევის კოდექსი[15].

ამასთან აშშ-ს მთავრობებმა მხარი უნდა დაუჭირონ წინადადებებს სოციალური სტანდარტების (რომლებიც ეხება მომხმარებელთა, გარემოსდაცვითი და შრომითი პრობლემების მოგვარებას) ინტეგრირებას სავაჭრო ხელშეკრულებებში. ვაშინგტონმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (WTO) ხელი უნდა შეუწყოს ორგანიზაციებში შრომის უფლებების დანერგვაში, ასევე გამჭვირვალობას ორგანიზაციის შიგნით. რეგიონულ და ორმხრივ დონეზე აშშ-ს მთავრობამ დაჟინებით უნდა მოითხოვოს, მომავალი სავაჭრო ხელშეკრულებები მოიცავდეს სისრულეში მოყვანილ სოციალური ქარტიებს.

კორპორატიული ქცევის ძლიერი საერთაშორისო სტანდარტები დამოკიდებული იქნება მკაცრ ეროვნულ კანონებზე, რომლებიც არეგულირებენ ბიზნეს ოპერაციებს. საერთაშორისო კანონებს და კოვენციებს არ ექნებათ ეფექტი, თუ ისინი არ შეიქმნება მკაცრი ეროვნული სტანდარტების საფუძველზე. მთავრობამ ადგილობრივ, სახელმწიფო და ფედერალურ დონეზე არ უნდა მოადუნოს ადგილობრივი რეგულაციები იმ იმედით, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების გააგრძელებენ წარმოებას მხოლოდ მშობელ ქვეყანაში. ამისათვის, ის უნდა იბრძოდეს ადგილობრივ და საერთაშორისო ფრონტებზე, იმისთვის რომ კორპორაციებს ჰქონდეთ მეტი სოციალური პასუხისმგებლობა. ამასთან დაკავშირებით, მკაცრად უნდა იქნეს შესრულებული GSP-ის, კარიბის აუზის ინიციატივის, NAFTA-ს და სხვა ვაჭრობასთან დაკავშირებული პროგრამები და შეთანხმებები[16].

გამომდინარე იქედან, რომ კორპორატიული ძალაუფლება არღვევს ეროვნულ საზღვრებს, ხალხი მთელს მსოფლიოში უნდა დადგეს ერთად, იმისათვის რომ მონიტორინგი გაუწიოს TNC-ის საქმიანობას უკეთესი რეგულაციისათვის. მოქალაქეთა ადგილობრივმა და საერთაშორისო მოძრაობებმა, მაგალითად

[15] https://www.globalpolicy.org/social-and-economic-policy/the-environment/general-analysis-on-the-environment/49383--controlling-transnational-corporations.html

[16] https://www.globalpolicy.org/social-and-economic-policy/the-environment/general-analysis-on-the-environment/49383--controlling-transnational-corporations.html

როგორიც იყო NAFTA-ს დებატების დროს, აჩვენეს რომ მოქალაქეებმა უნდა განაგრძონ პლატფორმის შექმნა, საერთაშორისო ეკომნომიკურ პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.

მოქალაქეთა აქტივობა საერთაშორისო კორპორატიული ოპერაციების რეგულირებისათვის არ შემოიფარგლება მხოლოდ ინსტიტუციური ასპარეზით. CJM-მ (The Coalition for Justice in the Maquiladoras) ჩამოაყალიბა ქცევის კოდექსი სოციალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად აშშ-მექსიკის საზღვარზე მდებარე ქარხნებში. არაადეკვატური სამუშაო პირობების გასაჯაროებით და აქციონერებზე ზეწოლით, CJM აიძულა მფლობელები მიეღოთ სოციალური პასუხისმგებლობის ბიზნეს პრაქტიკა. მსგავსი აქტივობის სხვა ფომრბია ბოიკოტი, საჯაროობა და ეტიკეტირების კამპანიები. ასეთი აქტივობების მეშვეობი ისეთი კორპორაციების წინააღმდეგ როგორებიცაა გეპი, სტარბაქსი და ლევი-სტრაუსი მოხდა ამ კომპანიების დარწმუნება იმაში, რომ მიეღოთ სოციალური პასუხისმგებლობის კოდექსი პრაქტიკაში. ისეთი ჯგუფები როგორიცაა GE (Global Exchnge) და NLC (National Labor Commitee) აიძულებენ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ სერიოზულად აღიქვან ეს კოდექსი. ერთ-ერთი ასეთი კამპანიის წყალობით კორპორაციები დათანხმდნენ დამოუკიდებელი მონიტორინგის განხორციელებას თავიან ქარხნებში, რომლებიც საზღვარგარეთ მდებარებოდა (მაგ. 1995 წელს გეპის მიმართ განხორციელდა მსგავსი კამპანია). არსებობს ჯგუფები რომლებიც ყალიბდება იმისათვის, რომ განსაზღვრონ რამდენად მნიშვნელოვანია კორპორაციებისათვის სოციალური პასუხისმგებლობა. ისეთი ჯგუფები, როგორიცაა FTF (Fair Trade Federation) და TF USA (Trans Fair USA) ხელს უწყობენ ალტერნატიულ წარმოებასა და მარკეტინგს, რაც ტრანსნაციონალურ პორპორაციებს ეხმარება მეტი პასუხისმლებლობის დანერგვაში.

ეტიკეტური კამპანიები, როგორიცაა დელფინის დაცვის სიმბოლო თინუსის ქილაზე, არის კიდევ ერთი ეფექტური გზა კორპორატიულ ქცევაზე გავლენის მოსახდენად. მსგავსი ეტიკეტების გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან მიდგომას კორპორატიული პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად, რადგან ის

მომხმარებელს აცნობს იმ პირობებს, რომელშიც დამზადდა ეს პროდუქტი. სურსათის უვნებლობის ეტიკეტირების მიზანშეწონილობა მიღებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური ხელშეკრულებით ტარიფებისა და ვაჭრობის (GATT) შესახებ, რითაც მოქალაქეებს უფლება მიეცათ დაჟინებით მოითხოვონ სოციალური ეტიკეტირება წარმოების პროცესის სხვა ასპექტებისათვის.

ტნკ-ების ოპერაციების რეგულირებისათვის საჭიროა ლოკალური, ეროვნული და საერთაშორისო ინიციატივების ერთობლიობა. კორპორაციები დომინირებენ მთელს ეკონომიკაში, რადგანაც ადგილობრივი რეგულაციები ნაკლებად ეფექტურია ბიზნეს აქტივობების კონტროლის კუთხით. აშშ-სგან მხარდაჭერა უნდა მიიღის იმ საერთაშორისო შეთანხმებებმა, რომლებიც მოითხოვს, რომ ტნკ-ებმა ინფორმაცია მიაწოდოს მასპინძელ ქვეყანას წარმოების პროცესზე, ტოქსიკური ქიმიკატების გამოყენებაზე, ასევე ხარჯებსა და მიღებულ შემოსავლებზე. აშშ-მ ასევე უნდა მოძებნოს გზა, რომლის დახმარებით კორპორაციებს მეტი პასუხისმგებლობა გაუჩნდებათ ადგილობრივი საზოგადოების მიმართ.

საბოლოოდ, აშშ-მ ფუნდამენტური რეფორმები უნდა გაატაროს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხში. სანამ არჩევნები არ გათავისუფლდება ჭარბი კორპორატიული დაფინანსებისადან, პოლიტიკოსები კვლავ დარჩებიან კორპორატიული გავლენის ქვეშ, რაც ხშირად მოსახლეობის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მშრომელთა უფლებების დაცვის, გარემოს დაცვის და სხვა მოძრაობების მხრიდან მკაცრი ზეწოლა აიძულებს აშშ-ს მთავრობას კორპორაციული ქცევა გახადოს უფრო საპასუხისმგებლო.

თავი 2. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები

2.1. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მიზნები

„ეკონომიკური უსაფრთხოება არის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალისმისერ და ა.შ. (სოციალურ, ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა) ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის მიზანმიმართული განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივ დაცვას და ქვეყნის ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას, როგორც მშვიდობიან (ნორმალურ) პერიოდში (პირობებში), ასევე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების დინამიკის გათვალისწინებით“[17]

ეკონომიკური უსაფრთხოების (შემდგომში ეუ) თეორია პირდაპირ კავშირშია მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან, ისევე როგორც გეოპოლიტიკასთან. მისი შესწავლისას გამოიყენება ისეთი სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ეკონომიკურ სუვერენიტეტთან, მის ეკონომიკურ ინტერესებთან, სამხედრო-პოლიტიკურ უსაფრთხოებათან. ეუ ქმნის საძირკველს, რომელიც წარმატებით შეიძება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური სისტემების (შიდა და გარე პრობლემების) გადასაჭრელად, განსაზღვრავს მის შემდგომი განვითარების მიმართულებებს გლობალურ ეკონომიკაში კონკურენციის გასაძლიერებლად და ზოგადად უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოებას. თავის მხრივ, ეუ შეუძლებელია მიღწეულ იქნას ეფექტური რეფორმების გატარებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევის გარეშე. ეუ ეროვნული უსაფრთხოების მთლიანი სისტემის განუყოფელი ნაწილია.

[17] ბ. ალადაშვილი - „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“. საზოგადოება “ცოდნა“ თბილისი 2011. გვ. 10

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული შესწავლისას ვხედავთ, რომ ამ საკითხის აღქმა განსხვავდება სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური სტრატეგიიდან და სახელმწიფოს მმართველობის სტილიდან გამომდინარე. განსხვავებულობაა კონტინენტების, ეკონომიკური განვითარების დონის, და მოსახლეობის მენტალობის მიხედვითაც. ამასთან, მჭიდრო კავშირი არსებობს ეუ-ს და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას შორის (საფრთხეების განეიტრალების კუთხით), ეკონომიკის ზრდის ამაღლებისა და საზოგადოების ყველა სექტორისა და ეკონომიკური აქტორების ინტერესების კონსოლიდაციას შორის. საერთო ჯამში, ეუ-ს თეორია 4 ამოცანის შესწავლას და გადაწყვეტას ემსახურება: ა) იმ საფრთხეების გამოვლენა და შესწავლა, რომელიც ემუქრება ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, ბ) ეუ-ს შეფასების ხარისხობრივი ინდიკატორების და რაოდენობრივი პარამეტრების განსაზღვრა, გ) ეუ-ს უზრუნველსაყოფად საჭირო მეთოდებისა და ხერების შერჩევა, დ) ეუ-ს პოლიტიკის მონიტორინგი, კოორდინაცია და განახლება.

ეუ-ის თეორიის რეალიაცია უნდა აისახოს სახელმწიფოს მიზანმიმართულ ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. ქვეყანაში პრობლემების გადასაჭრელად (მშპ-ს შემცირება, უმუშევრობა, სავალუტო რეზერვების დონის შემცირება, მოსახლეობას შემოსავლებს შორის დიფერენციაციის ზრდა) და ეკონომიკური უსაფრთხოების მენეჯმენტისთვის, მთავრობები აქტიურად მიმართავენ ეროვნული ეკონომიკის მაკროეკონომიკურ რეგულირებას, მონიტორინგს და უწყებათაშორის კოორდინირებას. მაგალითად: აშშ-ში ეკონომიკური უსაფრთხოების კონტროლი, ისევე როგორც მრეწველობის თანმიმდევრული განვითარება და საშინაო და საგარეო ვაჭრობის მონიტორინგი (რაც განსაზღვრავს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს) ეხება ვაჭრობის სამინისტროს, და ეს სამინისტრო უწევს კოორდინირებას სხვადასხვა უწყებებთან. იაპონიაში - საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, ჩინეთში - ინდუსტრიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამინისტრო, დიდ ბრიტანეთში - ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო. აღსანიშნავია, რომ ისეთ მოწინავე ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, იაპონია და ჩინეთი, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეროვნული

ინტერესების და ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საკითხებთან ერთად, განიხილება როგორც სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტული დოკუმენტი, რომელიც პირადაპირ კავშირშია და განსაზღვრავს ამ ქვეყნების მოქალაქის სიცოცხლის უსაფრთხოებას.

აშშ-ში ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც:

- საკმარისი რესურსების არსებობა ქვეყნის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად,
- ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილური და მდგრადი განვითარება,
- სახელმწიფოს სისტემური მიდგომა მისი ეროვნული ინტერესების დასაცავად.

აშშ-ს ეკონომიკა არის მსოფლიო ეკონომიკის ზრდისა და მდგრადი განვითარების გარანტი. უზარმაზარი რესურსებითა და დიპლომატიური გავლენით, აშშ ამყარებს საფუძველს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისთვის. აშშ-ს ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესების ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია პროფესიული სამუშაო ადგილების განვითარებაში ინვესტიცია. ეს მოიცავს ფონდებს, რომლითაც ფინანსდება მაღალანაზღაურებადი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული სამუშაო ადგილები, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს საზღვარგარეთ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. ამგვარად, იზრდება ეროვნული შემოსავლი, რომელიც ხსნის განვითარების ახალ გზებს საზღვარგარეთ მდებარე ამერიკული ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის. აშშ ასევე აქტიურად ცდილობს შექმნას მრავალმხრივი ეკონომიკური უსაფრთხოების ბლოკები (მაგ: ნაფტა), რათა გაზარდოს საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. აშშ-ს ეუ-ის ერთერთ ფაქტორს წარმოადგენს სტრატეგიული ნედლეულის მაგარაგების შექმნა და ამით მსოფლიო ფასების მოულოდნელი ცვლილების ნეგატიური ზემოქმედების შემთხვევაში, ქმნის საკუთარი ეკონომიკის დაცვის გარანტიას.

ევროკავშირის ეუ-ის კონცეფცია მიზნად ისახავს მოკავშირე ქვეყნების ეკონომიკის გაძლიერებას ევროკავშირის სამეზობლოში ინტეგრაციის და

აქტიური პოლიტიკის წარმოებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ისიც აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია წევრი ქვეყნების მიდგომები ეუ-სადმი, მაგალითად: გერმანიას არ აქვს კონკრეტული კანონი ეუ-ის კონცეფციის შესახებ. ეუ-ის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება კანონებით, რომელიც არეგულირებს ბაზრის ყველაზე მნიშვნელოვან დარგებს და სახელმწიფოს ანიჭებს კონტროლიორის ფუნქციას.

საფრანგეთში, სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც ეხება ეკონომიკური უსაფრთხოების დებულებებს, არის 1964 წლის კანონი "ეროვნული უსაფრთხოების შესახებ". საფრანგეთის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური სისტემის დაუცველების მინიმიზაციას და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას იმ რისკების შემცირებით, რომელიც დამოკიდებულია გარესამყაროსთან.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულში, ჩინეთმა, ინდოეთმა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა და ბრაზილიამ მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკის გარკვეულ ასპექტებში. ამან განაპირობა ის, რომ გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის სტრუქტურამ დაიწყო ცვლილება. ახალი წამყვანი სახელმწიფოების ეკონომიკურმა წონამ გამოიწვია მათი პოლიტიკური წონის მატებაც. მსოფლიოში ახალი საერთაშორისო ასოციაციები გამოჩნდა, როგორებიცაა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, BRICS (ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთის და სამხრეთ აფრიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია), ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, ასევე ახალი ალტერნატიული განვითარების ინსტიტუტები - აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) და ახალი განვითარების ბანკი (NDB), რომლებიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან (IMF) და მსოფლიო ბანკისგან (World Bank) განსხვავებით აკონტროლებენ ჩინეთის, ინდოეთს, რუსეთის, სამხრეთ აფრიკის და ბრაზილიის მთავრობები.

სამწუხაროდ, საქართველოში ისტორიულად ეუ-ის როგორც თეორიული შესწავლა, ისე მისი პრაქტიკული განხორციელება, მისი გეოპოლიტიკური

მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუფერებლად საბაზისო პირობებშია და სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ არ განხორციელდა შესაბამისად. საქართველოს ეუ-ის კონცეფცია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განუყოფელი ნაწილია და მასზე მუშაობს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, სადაც უნდა იყოს ასახული რამდენად ადეკვატურად აფასებს ხელისუფლება ქვეყნის შიგნით და გარეთ შექმნილ მდგომარეობას და არის თუ არა მზად მოსალოდნელი საფრთხეების გასანეიტრალებლად.

2005 წელს საქართველოს უშიშროების საბჭომ პარლამენტს წარუდგინა „საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია“. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულ იქნა პარლამენტის მიერ. მასში ფორმულირებულია ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა, არსებული საფრთხეები და გამოწვევები. პრიორიტეტებად მიჩნეულია:

- ქვეყნის დემოკრატიული განვითარება;
- სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ხელშეუხებლობა;
- სეპარატისტული რეჟიმების არარსებობა;
- საქართველოს თავდაცვისუნარიუანობის ამაღლება;
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;
- ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია;
- საქართველოს საშინაო საქმეების სხვა ქვეყნების ჩაურევლობა; და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტად განისაზღვრა:

- საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა;
- ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა;
- მრეწველობის ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარებისთვის ბიზნეს-გარემოს შექმნა;
- ტურიზმის განვითარება და საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრული რეალიზაცია; და ა.შ.

ეკონომიკურ საფრთხეებად განისაზღვა:

- ეროვნული წარმოების განვითარების დაბალი დონე;
- სტრატეგიულ დარგებში მონოპოლიზმის ფარული არსებობა;
- სტრატეგიული რესურსების დეფიციტი;
- სანედლეულო ბაზრების დივერსიფიკაციის დაბალი დონე;
- ტექნოლოგიური დამოკიდებლება სხვა ქვეყნებზე; და ა.შ[18].

2.2. ეკონომიკური საფრთხეებიის კლასიფიკაცია

„ეკონომიკური საფრთხე არის ქვეყნის შიდა და გარე ეკონომიკური პრობლემების (არსებულის და მოსალოდნელის) გართულების შედეგად წარმოქმნილი პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ნეგატიური მოვლენების და პროცესების ერთობლიობა, რომელიც აბრკოლებენ პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმდინარე და პერსპექტიულ განვითარებას“[19]

ეკონომიკური საფრთხეები შეგვიძლია შემდეგნაირად დავაკვალიფიცეროთ:

- შიდა და გარე ხასიათის;
- მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში გაწერილი ;
- ღია და დაფარული;
- ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიდან განპირობებული;
- ექსტრემალური და სტანდარტული სიტუაციებიდან გამომდინარე;
- არსებული და მოსალოდნელი;
- საერთაშორისო და ლოკალური;
- ქვეყნის კონკრეტული ეკონომიკური განვითარებიდან გამომდინარე.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

გარე ხასიათის ეკონომიკურ საფრთხედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთი პრობლემური ფაქტორი, რომელის პირველწყაროს წარმოადგენს ქვეყნის გარეთ

[18] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, თბილისი, 2005, იხილეთ: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0

[19] ბ. ალადაშვილი „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“ ,,საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 2011, გვ.53

(მსოფლიოში, რეგიონში) შექმნილი ვითარება. შესაბამისად, მსლოფლიოში ყველანაირი ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და ა.შ. ნეგატიური პროცესები შეგვიძლია მივიჩნიოთ ეკონომიკური საფრთხის შემცველ ფაქტორად. ასეთებია: სამამულო კომპანიების კონკურენტუნარიანობის დაკარგვა ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული დაბალფასიანი პროდუქციის შემოტანით; ადგილობრივ ბაზარზე კონტრაბანდული და განუბაჟებელი საქონლის გავრცელება; სხვა ქვეყნებში (რომელთანაც არის მიმდინარე აქტიური ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობა) ეკონომიკური კრიზის ნეგატიური ზეგავლენა ექსპორტ-იმპორტზე; სანქციების გამყენება; ემბარგოს და ბოიკოტის გამოცხადება; „ეკონომიკური ბლოკადის“ განხორციელება; საერთაშორიო კრედიტორების მიერ ვალების ფაქტორის გამოყენება საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და სხვა.

შიდა ხასიათის ეკონომიკური საფრთხე გამოწვეულია ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, თუმცა არაა გამორიცხული, რომ მიზეზი გახდეს მსოფლიოში ან რეგიონში დაწყებული ნეგატიური მოვლენები, რომელმაც გამოიწვია შიდა ეკონომიკური პრობლემები, ასეთებია: ბიუჯეტის დეფიციტი; საგარეო ვალების ზრდა; ჰიპერინფლაციური მოვლენა; ეკონომიკური დარგების არათანაბარი და გეგმასთან შეუსაბამო განვითარება, რომელიც ხშირ შემთხვევაში მთავრდება უცხოური ვალუტის გადინებით და სხვა.

მოკლევადიანი საფრთხედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთი მოვლენა, რომლის აღმოფხვრა შესაძლებელია მოკლე (1-2 წელი) პერიოდში, მაგ: ბიუჯეტის დეფიციტი.

რაც შეეხება **ხანგრძლივი პერიოდის საფრთხეს,** რომლის მოქმედების პერიოდიც საკმაოდ ხანგრძლივია, მნიშვნელოვანი და გლობალური პრობლემებითაა გამოწვეული. მის დასაძლევად საჭიროა სხვადასხვა სიღრმისეული ღონისძიებებით თანდათანობით გატარება. მაგალითად: ეკონომიკის გარდაქმნის გახანგრძლივება; შიდა და გარე ბაზრების დაკარგვა; კორუფცია; ენერგო კრიზისი; ჰიპერინფლაცია და ა.შ.,

შედარებით გამჭვირვალობით ხასიათდება **ღია ფორმის საფრთხე** და შესაბამისად მისგან გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრაც დროულად ხერხდება. ასეთი საფრთხეებია: საერთაშორისო ბაზრების საერთო მდგომარეობის (არსებული სიტუაციის) ცვლილება; მონოპოლიებით გამოწვეული პრობლემები; შიდა ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის ჩანაცვლება იმპორტირებული პროდუქციით; ტექნოლოგიების დაბალი განვითარება და ა.შ.

ზოგჯერ უცხო ქვეყნის ან კომპანიის მიერ შესაძლოა განხორციელდეს ფარული ქმედება, რომელიც წარმოადგენს **ფარულ საფრთხეს.** ასეთ საფრთხეებს მიეკუთვნება ასევე საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე ნეგატიური პროცესების გავლენის არასათანადო შეფასება. მსგავს საფრთხეებში შედის: ქვეყნიდან მნიშვნელოვანი რესურსებისა და ინტელექტუალური საკუთრების გადინება; უცხოური კომპანიების მიერ ადგილობრივი საწარმოების გაკონტროლება;

არსებობს ისეთი საფრთხეები, რომლებიც **ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული.** ამგვარი საფრთხეებია: სტიქიური უბედურებები; მონოპოლიები; გლობალიზაციის თანმდები უარყოფითი მოვლენები; ეკონომიკური კრიზისი.

ობიექტურ საფრთხეებთან ერთად გვაქვს **სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული საფრთხეები**, რომლებიც დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტთან, ასევე ქვეყნებს შორის გამწვავებულ ურთიერთობებთან. მათ მიეკუთვნება ისეთი საფრთხეები, როგორიცაა კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა და სხვა.

გვაქვს **ექსტრემალურ სიტუაციასთან დაკავშირებული საფრთხეები**. ესენია სტიქიური უბედურებებითა და ტერაქტებით გამოწვეული, ასევე საფინანსო თუ სასურსათო საფრთხეები, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის მიწისძვრები და ცუნამები, რომლებმაც კონკრეტულ ქვეყნებს მილიარდობით დოლარის ზიანი აყენებს.

არსებობს **სტანდარტული სიტუაციებისათვის დამახასიათებელი საფრთხე,** რომელიც ისეთი პრობლემების გართულებითაა გამოწვეული, რომელთაც უკვე

ჰქონდათ ადგილი და შესაბამისად სტანდარტული და ნაცადი მეთოდებით აღმოიფხვრება.

არსებული საფრთხე რეალურ დროში წარმოშობილი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური საფრთხეა და როგორც წესი, შესაბამისი ზომები წინასწარ უნდა იქნეს მიღებული, რადგან არ მოჰყვეს ნეგატიური შედეგები. **პოტენციური საფრთხე,** როგორც ტერმინი გვეუბნება წინსწარ ცნობილი მოვლენების შედეგია. მათგან თავის დასაცავად საჭიროა მსგავსი პრობლემების პროგნოზირება, რაც საკმაოდ რთულია. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ წინასწარაა დაგეგმილი ყოველი ნაბიჯი, შედეგებიც ძირითადად დადებითია. ასეთი საფრთხეებია: გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი; მთლიან ეროვნულ პროდუქტში განათლებისა და მეცნიერებისთვის საჭირო ბიუჯეტის ლიმიტირება;

გლობალური საფრთხე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება და მათ აღმოსაფხვრელად საჭიროა სხვადასხვა ქვეყნების და ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევა. გლობალური საფრთხეები მრავალგვარი შეიძლება იყოს, ძირითადი მათგანია: მსოფლიო სასურსათო კრიზისი; სავალუტო-აფინანსო კრიზისი; არასტაბილური ფინანსური ბაზრები; ეკოლოგიური კატასტროფები; დაკრედიცებასთან და დაზღვევასთან დაკავშირებული გლობალური პრობლემები, იქნება ეს კრედიტის არაობიექტური მოცულობა თუ სადაზღვევო სისტემის წარუმატებელი ფუნქციონირება; ნავთობისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ფასი; ენერგიის ალტერნატიული საშუალებების ნარეგვის ხელის შემშლელი ფაქტორები.

ადგილობრივი საფრთხე ქვეყნის შიდა პროცესებითაა განპირობებული, შესაბამისად მხოლოდ ეროვნულ ეკონომიკას მოიცავს[20].

ასევე არსებობს ისეთი საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია **ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეტაპებთან.** იგი ცვალებადია განვითარების თითოელი ეტაპის პროპორციულად. რაც უფრო მაღალია ქვეყნის განვიტარების

[20] A. Collins "Contemporary Security Studies", second edition, Oxford University Press, New York, 2007, p.240

ეტაპი მით უფრო ნაკლებია საფრთხე და პირიქით. თუმცა აღნიშნული საკითხი ძალზე მნიშველოვანია ყველა სახელმწიფოსთვის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საფრთხე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და აუცილებელია მათ სისტემატიზაცია ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მათცენებლების მიხედვით.

2.3. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები და პარამეტრები

ეუ-ს შეფასების ინდიკატორები ის ეკონომიკური მაჩვენებლებია, რომლითაც ხდება ეროვნულ ეკონომიკის მდგომარეობის განსაზღვრა. ასეთებია მშპ-ს შემცირება, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირება, ფულას-საკრედიტო სისტემის სტაბილურობა, ბიუჯეტის დეფიციტი, საშინაო და საგარეო ვალები, რესურსების მარაგებისა და მათი შევსების კონტროლი, კორუფციის მოცულობა და სხვა.

ეუ ინდიკატორების განსაზღვის სამი დონე არსებობს, ესენია:

გლობალური მიზნების დონე, რომელიც გულისხმობს ზოგადი, მაგრამ ქვეყნისათვის საციცოცხლო მნიშვენლობის მქონე ინდიკატორების განსაზღვრას. ასეთებია - პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის, ასევე ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ცხოვრების დონის ზრდა და სხვა.

გეოსტრატეგიული მიზნების დონე, ანუ უნდა მოხდეს შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა ქვეყნის წინაშე არსებული ამოცანებიდან გამომდინარე. მაგალითად: ინვესტიციების ზრდა, ძირითადი რესურსების მარაგების შექმნა, იმპორტ-ექსპორტის დივერსიფიკაცია და სხვა.

ტაქტიკური მიზნების დონე - ამ დროს ხდება სტრატეგიული ინდიკატორების დაკონკრეტება, მაგალითად: მარაგების შემადგენლობა და მოცულობა, კავშირგაბმულობის დივერსიფიკაციის ფორმები და ა.შ.

ინდიკატორების განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია დადგინდეს მათი **ზღვრული პარამეტრები,** რომლებიც რაოდენობრივად შეაფასებენ ეკონომიკური

უსაფრთხოების მდგომარეობას. ეს პარამეტრები მტკიცდება ხელისუფლების დონეზე და მათი შესრულება სავალდებულოა.

ზღვრული პარამეტრების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ინფლაციის დასაშვები ზღვარი, მშპ-ს მინიმალური ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტის დასაშვები ზღვარი, სტრატეგიული რესურსების მინიმალური მარაგები და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ თუ ეუ ინდიკატორების სისტემა ზღვურულ პარამეტრებს არ სცილდება, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ეუ უმაღლესი დონე მიღწეულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეუ ინდიკატორები და პარამეტრები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, თუმცა შესაძლებელია ყველა ქვეყნისათვის საერთო პარამეტრების განსაზღვრაც. განვითრებული ქვეყნებისათვის ეუ ნიშნავს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მიღწევას სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა სფეროებში, ასევე გლობალური საფრთხეების განეიტრალებას. მსგავსი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: ეკონომიკის დამოკიდებულება ენერგორესურსებზე და ფასებზე; ქვეყნის პოლიტიკური სტატუსი მსოფლიო სცენაზე; ინდუსტრიის განვითარების დონე; აგრობიზნესის განვითარების დონე; დასაქმების და უმუშევრობის დონე; ინოვაციური კომპონენტის განვითარების და ინოვაციური ტექნოლოგიის დონე; იმპორტის ჩანაცვლების დონე; მეზობელი ქვეყნების განვითარების დონე.

განიხილავენ 9 ძირითადი ინდიკატორს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის წილს გლობალური განაწილებაში. ესენია: მშპ (გაანგარიშებული მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტზე), სამხედრო ხარჯები, სამხედრო სიძლიერე, მოსახლეობის რაოდენობა, ტერიტორიული მოცულობა, საერთაშორისო რეზერვები, გაეროში შენატანები - კონტრიბუცია (პოლიტიკური კაპიტალი), და საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა.[21] აღნიშნული ინდიკატორები წარმოადგენენ მსოფლიო წამყვანი პოლიტიკური სახელმწიფოების კუმულაციური ძალის შესაფასებლად. ეს მაჩვენებელი

[21] M. Dudin "International Practices to Improve Economic Security" in European Research Studies Journal, Volume 21, Issue 1, 2018, p.464, see: https://www.ersj.eu/dmdocuments/2018_XXI_1_38.pdf

მეტყველებს იმ უფლებამოსილების არსებობაზე, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს წინააღმდეგობა გაუწიოს შიდა და გარე საფრთხეებს.

ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით საინტერესოა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება ეუ-ს არსებული დონის შესაფასებლად. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის პრიორიტეტულია საბაზრო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრა, შემდგომ კი სტაბილურობის შენარჩუნება. ასეთი ქვეყნები მაგალითს მაღალგანვითარებული ქვეყნებისგან იღებენ. შესაძლებელია განისაზღვროს ისეთი ინდიკატორები, რომლებსაც იყენებს განვითარების ნებიერ ეტაპზე მყოფი ქვეყანა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს ინდიკატორები მაინც პირობითია. ასეთი შეიძლება იყო: წარმოება, რომელშიც შედის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და მისი შემცირების ტემპები, წარმოების სტრუქტურა, იმპორტის ხვედრითი წილის სურსათის მოხმარებაში; უცხოური ინვესტიციების წილი სხვადასხვა სექტორში; სხვადასხვა სტრატეგიული დარგების განვითრება; ცხოვრების დონე; ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები, რომელშიც შედის საშინაო და საგარეო ვალების დონე, ფულის მასა, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ექსპორტის მოცულობა, საგარეო ეკონომიკური კავშირები და სხვა. მნიშვნელოვანი ინდიკატორია საერთაშორისო ბაზარებზე ექსპორტის წილი, გადაჭარბებული ექსპორტი ქვეყანას დამოკიდებულს ხდის საგარეო ბაზრებზე, რაც სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ძალიან მნიშველოვან საფრთხეს წარმოადგენს. არანაკლები საფრთხეა ჭარბ იმპორტზე დამოკიდებულება, როდესაც საქმე გვაქვს საერთაშირისო ბაზარზე ფასების ზრდასთან ან ეკონომიკურ სანქციებთან.

საერთო ინდიკატორად შეიძლება განვიხილოთ ასევე ფულად-საკრედიტო სფეროს სტაბილურობა; სასურსათო უსაფრთხოების დონე, რომელიც განისაზღვრება სურსათის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაწესებული კრიტერიუმებით; ენერგეტიკული უსაფრთხოება; ეკონომიკის კრიმინალიზაციის მაჩვენებელი, რომელშიც შედის ეკონომიკური დანაშაულის და კორუფციის ზრდა, რაც ძალიან დიდ გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთოხების

თვალსაწრისით, რადგანაც მას შეუძლია საბაზრო სისტემების დასუსტება. საერთო ინდიკატორებში შედის ასევე მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის უსაფრთხოება და კავშირგაბმულობის კომუნიკაციების უსაფრთხოება.

ეკონომიკური საფრთხისა და ეუ-ს მდგომარეობის შეფასებას, ასევე მის კონტროლს ახორციელებს უშიშროების საბჭოს აპარატი.

ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვენელოვანესია შეფასდეს საერთაშორისო ეკონომიკის ძირითადი ფაქტორების გავლენა საქართველოს ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, რისთვისაც აუცილებელია შეფასების მეთოდების, ინდიკატორებისა და პარამეტრების განსაზღვრა.

2.4. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტული მეთოდები

მაშინაც კი, როცა ქვეყნებს შორის ურთიერთობა არასდროს ყოფილა ისე გაწერილი და სტანდარტიზებული, როგორც ეს XXI საუკუნეშია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, ხშირია სხვადასხვა ქვეყნებს შორის ინტერესთა კონფლიქტი. ქვეყნებს უწევთ საკუთარი პოზიციების გამყარება როგორც ტრადიციული მეთოდებით, როგორიცაა დიპლომატირუი მოლაპარაკებების წარმართვა, სხვადასხვა ეკონომიკური ღონისძიებების გატარება, სამხდრო ძალის გამოყენება, ეკონომიკური სანქციების ამოქმედება, ასევე სულ უფრო აქტირად ხდება სპეცსამსახურების მონაწლეობა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად[22].

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები შეგვიძლია დავაკვალიფიციროთ შემდეგნაირად: ა) ეკონომიკური მეთოდი, ბ) პოლიტიკური (დიპლომატიური) მეთოდი და გ) ძალისმიერი მეთოდი,

ეკონომიკური მეთოდი ითვალისწინებს შესაბამისი პოლიტიკის გატარებით ეუ-ის ინდიკატროების და პარამეტრების შესრულებას. აღნიშნული მეთოდის

[22] A. Collins "Contemporary Security Studies", second edition, Oxford University Press, New York, 2007, p.245

სწორი დაგეგმა და განხორციელება უზრუნველყოფს მიმდინარე (მოკლევადიანი) მიზნების შესრულებას, რაც გრელვადიან პერსოექტივაში ამცირებს (და რიგ შემთხვევებში გამორიცხავს) ეკონომიკური ხასიათის საფრთხეების წარმოქმნის ალბათობას.

აღნიშნული მეთოდის მიზანია, გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარების პარალელურად საერთასორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევა და განმტკიცება. ეს მეთოდი აერთიანებს ქვეყნის განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიცაა: სტრატეგიული მარაგების შექმნა; მზა პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიება და დივირსიფიკაცია; წარმოების პრიორიტეტულ დარგებში საინვესტიციო კლიმატის გუმჯობესება; ფინანსური სისტემის სტაბილურობა; ექსპორტზე ორიენტირებული დარგების წახალისება; თანაბარი და კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს შექმნა; ქვეყნის გეოპოლიტიკური უპირატესობების ეფექტიანი გამოყენება და ა.შ.;

პოლიტიკური მეთოდი მოიცავს პოლიტიკური და დიპლომატიური ღონისძიებების ერთობლიობას. მაგალითად: ქვეყნების პირველ პირთა პერმანენტული შეხევდრები; მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების გაფორმება; პარტნიორ ქვეყნების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასი მოკავშირეების წრის გაფართოება; რეგიონულ დონეზე კავშირების შექმნა და დივერსიფიკაცია; სპროტულ და კულტურულ კავსირების გაფართოება; პოლიტიკურ-ეკონომიკური დიპლომატიის ხერხების გამოყენება.

”ეკონომიკური დიპლომატია კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობაა, რომლის მიზანია კონკრეტული ქვეყნის ეროვნული კაპიტალის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო ბაზრებსა და სხვა ქვეყნებში პოლიტიკური და დიპლომატიური მეთოდებისა და ხერხების უპირატესი გამოყენების გზით“[23]. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ეკონომიკურმა დიპლომატიამ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების შემდეგ, რამეთუ აღნიშნულ ასპარეზზე მიღწეული წარმატება

[23] ბ. ალადაშვილი - „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“. საზოგადოება „ცოდნა“ თბილისი 2011, გვ.74

განაპირობებდა ქვეყნის მიერ მიღწეულ არაძალისმიერ ფორმით მიღწეულ წარმატებას. სწორედ ეკონომიკური დიპლომატია წარმოადგენს „სახელმწიფოს უსაფრთხოების, მდგრდი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისთვის გეოპოლიტიკური უპირატესობების პოტენციალის გამოყენებით საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციას“[24]

დღესდღეობით, გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების დაცვა და მისი გაძლიერება საერთაშორისო ასპარეზზე გახდა პრიორიტეტული საკითხი ეკონომიკური დიპლომატიისთვის, აქედან გამომდინარე ეკონომიკური დიპლომატიის <u>მიზნები</u> შეგვიძლია განვსაზღვროთ შემდეგნაირად: ა) რისკების მართვა და შეფასება; ბ) ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის შემოსავება და განხორციელება; გ) მსოფლიო ბაზარზე სამამულო კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობა, დ) მდგრადი საერთაშორისო სავალუტო და საგადასახადო სისტემის ფორმირების სტიმულირება. საქართველოში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ინვესტიციების (განსაკუთრებით უცხოური) მოზიდვის სარგებლიანობის შესახებ, რაც ძალიან ცუდ შედეგეს ახდენს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებას[25].

ეკონომიკური დიპლომატიის <u>ამოცანები</u> შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; საზღვრგარეთ არსებული ეროვნული ინვესტიციების დაცვა; ლოკალური ბიზნესის დახმარება პროდუქციის (მომსახურების) საზღვარგარეთ გატანაში; ტექნოლოგიური სიახლეების და წარმატებული ნოუჰაუ-ების მოზიდვა და ადგილობრივ ბიზნესში დანერგვა; ორმხრივ და მრავალმხრივ სავაჭრო ეკონომიკურ

[24]ბ. ალადაშვილი - „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“. გამომცემლობა „საზოგადოება“თბილისი 2011, გვ.76

[25] ზ. თეთრუაშვილი და მ. თეთრუაშვილი „საქათველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობობეში“, შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2006 წელი, გვ.230

მოლაპარაკებების წარმართვა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და ა.შ.[26]

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის **ძალისმიერ მეთოდს** განეკუთვნება უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური სანქცირების მეთოდები, სპეცსამსახურების გამოყენება და სამხედრო ძალის გამოყენება.

ძალისმიერი ეკონომიკური მეთოდებია:

სანქცია - ესაა კომერციული და ფინანსური ჯარიმები, რომლებიც გამოყენებულია ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მიერ, საერთაშორისო სამართლის ნორმების დამრღვევი სახელმწიფოს, ჯგუფის ან ინდივიდის წინააღმდეგ. ეკონომიკური სანქციები არ არის დაწესებული მხოლოდ ეკონომიკური გარემოებების გამო, ისინი შეიძლება დაწესდეს სხვადასხვა პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური საკითხებიდან გამომდინარე. ეკონომიკური სანქციები შეიძლება გამოყენებულ იქნას საშინაო და საერთაშორისო მიზნების მისაღწევად.

ემბარგო - ესაა კომერციული და სავაჭრო ურთიერთობების სრული ან ნაწილობრივი აკრძალვა ქვეყბანასთან ან სახელმწიფოთა ჯგუფთან. ასევე გავრცელებულია მოსაზრება, რომ ემბარგო შეგვიძლია ჩავთვალოთ დაპირისპირებული მხარეების ვაჭრობის განხორციელების კანონზომიერ ბარიერად, ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ბლოკადასთან, რომელიც ითვლება საომარი მოქმედების დაწყების წინაპირობად. ემბარგო მოიცავს ექსპორტის და იმპორტის შეზღუდვა/აკრძალვას, საქონელზე კვიტების დაწესებას, სპეციალური გადასახადების შემოღებას, სატვირთო და სატრანსპორტო მიმოსვლის აკრძალვას, საბანკო ანგარიშების გაყინვა/დაყადაღებას და ა.შ.

ბლოკადა - ესაა ისეთი ღონსძიებათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ომის, ან ომის წინა პერიოდში და მიზად ისახავს რეპრესირებული ქვეყნის/ქვეყნების მარაგების, საომარი და საკომუნიკაციო საშუალებების ძალისმიერ მიწოდების შეწყვეტას. ბლოკადა აერთიანებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ღონისძიებებს.

[26] რ. ოთინაშვილი „ეკონომიკური უსაფრთხოება“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2005 წელი, გვ.30-32

სპეცსამსახურების გამოყენებას სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური სახის (იგივე პოლიტიკური) ინფორმაციების მიღებაში შეგვიძლია დავაჯგუფოთ შემდეგნაირად - ეკონომიკური დაზვერვა და სამრეწველო ჯაშუშობა.

ეკონომკური დაზვერვა არის ქვეყნის საიდუმლო ეკონომიკური ინფომაციის ფარული და არასამართლებრივი გზით მოპოვება. ამგვარი ინფორმაცია შეიძლება იყოს: ქვეყნის პრიორიტეტული ეკონომიკური გეგმები, სამომავლო მოლაპარაკების დეტალური პირობები, ხელშეკრულებების გაფორმების მთოდები. აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ისრაელის ეკონომიკური ჯაშუშობის გახმაურებული საქმე აშშ-ში. ისრაელის სპეცსამსახურების წარმომადგენლები აგროვედბნენ ამერიკული კომპანიის საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, რომელიც მოიცავდა ცნობებს სამხერდო სისტემების და კომპიუტერული პროგრამების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მოიძიება მიზნად ისახავდა ისრაელის სამხედრო მრეწველობაში მის გამოყენებას. აშშ-ს მხრიდან ისრაელი მთავრობა დადანაშაულებულ იქნა აშშ-ს საიდუმლო სამხედრო ინფორმაციის მიყიდვაში ჩინეთის სპესამსახურებისთვის. 2014 წელს გაიმართა მრავალი სასამართლო მოსმენა, კონტრდაზვერვის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა პალატის სასამართლოს და საგარეო საქმეთა კომიტეტების წევრებს დეტალურად აღუწერეს ისრაელის ჯაშუშური სქემა და განაცხადეს, რომ მათი ჯაშუშური საქმიანობა აშშ-ში "შეუდარებელია"[27].

სამრეწველო ჯაშუშობა არის უახელი ტექნოლოგიური ნიმუშების და სამეცნიერო გამოგონებების ტექნიკური დოკუმენტაციის ფარული მოპოვება. 1990იან წლებში, კომპანიები: IBM და Texas Instrumentes ფიქრობდნენ, რომ სამიზნე იყვნენ საფრნგეთის ჯაშუშური ქსელის, რომელთაც ეხმარებოდა ფრანგული კომპანია France Groupe Bull. 1993 წელს აშშ-ს საჰაერო კოსმოსური კომპანიები ასევე ფიქრობდნენ, რომ მოექცნენ საფრანგეთის დაინტერესების ქვეშ. საფრანგეთი აშშ-ს ადანაშაულებდა მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიული

[27] https://www.newsweek.com/israels-aggressive-spying-us-mostly-hushed-250278

ბაზის მოპარვის მცდელობაში. საფრანგეთის მთავრობა დადანაშაულებულ იქნა ამერიკული აეროდინამიკის და სატელიტური კომპანიების წინააღმდეგ ჩატარებულ სავარაუდო სამრეწველო ჯაშუშობაში.

”სპეცსამსახურები ეკონომიკური სახის ინფორმაციას ძირითადად იღებენ ღია წყაროების ანალიზიდან, ხოლო საიდუმლო ინფორმაცის მოსაპოვებლად მიმართავენ სამრეწველო ჯაშუსობის მეთოდს. ამჟამად ეკონომიკურ შპიონაჟში გამოიყენება საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების სამი ძირითადი მეთოდი: ღია წყაროებიდან, აგენტურული გზით და ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით“[28]. რა თქმა უნდა უნდა გამოვყოთ სამი მოწინავე ქვეყნის სპეცსამსახურები, რომელთა წარმატებული საქმიანობა ათეულობით წლებს მოიცავს და სამაგალითოა სხვა ქვეყნებისთვის, ესენია: რუსეთი (რომლის ფესვები მოდის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან) ა.შ.შ. და ჩინეთი.

სამხედრო ძალის გამოყენება, რაც გულლისხმობს საომარ მოქმედებაზე გადასვლას ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, უკიდურესი ზომაა. იშვიათად, თუმცა უახლოეს ისტორიას ახსოვს, რომ კაცობრიობის განვითარების მიმდინარე ეტაპზე, მაშინ როცა გლობალური მშიდობა გარანტირებულია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირებით და საერთაშორისო შეთანხმებებით, სხვადასხვა ქვეყნებმა ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დასაცავად, დაიწყეს შეიარაღებული კონფლიქტი. შეგვიძლია გავისხსენოთ 1990იან წლებში ნატოს წევრ ორ ქვეყანას (ესპანეთი და კანადა) შორის წარმოიშვა დიპლომატიური დაპირისპირება, რომელიც თითქმის სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. საქმე ეხებოდა ატლანტიკური ოკეანის ჩრდილოთ ნაწილში თევზჭერის საკითხს. აღნიშნული ორივე ქვეყნისთვის ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვას უკავშირდებოდა. სამხედრო დაპირისპირება თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მხოლოდ ბოლო მომენტში, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევით, მოხერხდა სიტუაციის განმუხტვა.

[28] ბ. ალადაშვილი - „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“, საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 2011, გვ.82

თავი 3. ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

3.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის ტრანსფორმაცია თანამედროვე ეტაპზე

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო ბიზნესის მასშტაბები და მისი თვისობრივი სპეციფიკა რადიკალურად შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის და ბრეტონ ვუდსის სისტემის შეთანხმების შემდეგ პერიოდში, მოხდა აშშ-ს გიგანტი კომპანიების ინვესტიციების გაფართოება საზღვარგარეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პიუ) გზით, ამ პერიოდში მათ ქონდათ ნაკლები კონტროლი და შესაბამისად მოქმედების მეტი სივრცე, ვიდრე ბრეტონ ვუდსის სისტემას ჩაანაცვლებდა ე.წ. „ურთოერთდამოკიდებულების“ სისტემა (70იანი წლებიდან)[29].

ამ პერიოდიდან მრავალი საპროტესტო და პოლიტიკურად მოტივირებული ტალღა წამოვიდა აშშ-ის ტნკ-ების მიმართ. ძირითადი მოთხოვნები იყო, რომ გამკაცრებულიყო რეგულაციები ამ კომპანიების მიმართ. ამავე პერიოდს ემთხვევა ლათინო ამერიკული და ოპეკის წევრი ქვეყნების საპროტესტო ნოტები ტნკ-ების მიმართ ნედლეულის გამოყენებასთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ ევროპულ ქვეყნებში, იაპონიასა და ახლადგანვითარებულ ქვეყნებში მიესალმებოდნენ აშშ-ის ტნკ-ის ფინანსურ ნაკადებს და მათ წარმომამდგენლობების გახსნას საკუთარ ქვეყნებში.

განვითარების შემდგომი ეტაპი (გლობალიზაცია) ხასიათდება ტნკ-ების გავრცელებით ბევრ ქვეყანაში. ამ კომპანიებს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ გლობალიზაციის დესპანები, რადგან მათ გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ყველა იმ სახასიათო კომპონენტების ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს გლობალიზაციის არსს. გარდა ამისა, ძირეული ტრანსფორმაცია განიცადა

[29] D. Minix and S. Hawley “Global Politics, International Thomson Publishing House, USA, 1998, pp.140-141

ამერიკულმა ტნკ-მა და მსოფლიოში აშშ იმპერიალიზმის სიმბოლოს ნაცვლად, გლობალიზაციის განვითარების აგენტების სახე მიიღო.

დღესდღეობით, ტნკ-ების როლი და გავლენა მსფოლიოს ეკონომიკაზე (და რა თქმა უნდა, პოლიტიკაზე) არის უსაზღვრო. ამ მოსაზრების გასამყარებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი მონაცემები: ქვემოთ მოცემულია 2006 წლის 50 უმსხვილესი ტნკ-ებილ ბრუნვა. აშშ-ს N1 კომპანიის (Walmart) წლიური ბრუნვა იყო 350 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ამავე წლის 21 განვითარებული ქვეყნების მშპ ერთად აღებული (მათ შორის დანია, ნორვეგია, საუდის არაბეთი და პოლონეთი).

Top 50 MNCs in 2006 Ranked by Revenues in Billions of Dollars[30]

Firm	Industry	Home Country	Assets ($Billions)
Wal-Mart	Retail	US	352
Exxon Mobil	Petroleum	US	347
Royal Dutch Shell	Petroleum	Netherlands	319
BP	Petroleum	UK	274
General Motors	Automotive	US	207
Toyota Motor	Automotive	Japan	205
Chevron	Petroleum	US	201
DaimlerChryslr	Automotive	Germany	190
ConocoPhilips	Petroleum	US	172
Total	Petroleum	France	168
General Electric	Heavy Machinery	US	168
Ford Motor	Automotive	US	160
ING Group	Insurance	Netherlands	158
Citigroup	Banking	US	147
AXA	Insurance	France	140
Volkswagen	Automotive	Germany	132
Sinopec	Petroleum	China	132
Credit Agricole	Banking	France	128
Allianz	Insurance	Germany	125

[30] J. Spero and J.Hart "ThePolitics of International Economic Relations", seventh edition, Wadsworth Cengage Learning, USA, 2010, pp.131-132

Fortis	Banking	Belgium/Netherlands	121
Bank of America	Banking	US	117
HSBC Holdings	Banking	UK	115
American Intl. Group	Insurance	US	113
China National Petroleum	Petroleum	China	110
BNP Paribas	Banking	France	109
ENI	Petroleum	Italy	109
UBS	Banking	Switzerland	107
Siemens	Information Tech.	Germany	107
State Grid	Utilities	China	107
Assicurazioni Generali	Insurance	Italy	102
J.P. Morgan Chase-	Banking	US	100
Carrefour	Retail	France	99
Berkshire Hathaway	Insurance	US	99
Pemex	Petroleum	Mexico	97
Deutsche Bank	Banking	Germany	96
Dexia Group	Banking	Belgium	96
Honda Motor	Automotive	Japan	95
McKesson	Retail	US	94
Verizon Communications	Telecom	US	93
NTT	Telecom	Japan	92
Hewlett-Packard	Infor Tech.	US	92
IBM	Inform Tech.	US	91
Valero Energy	Petroleum	US	91
Home Depot	Retail	US	91
Nissan Motor	Automotive	Japan	90
Samsung	Electron	South Korea	89
Credit Suisse	Banking	Switzerland	89
Hitachi	Info Tech.	Japan	88
Societe Generale	Banking	France	84
Aviva	Insurance	UK	83

გლობალიზაციისთვის დამახასიათებელია ტნკ-ის და ქვეყნების მთავრობების ურთიერთდაპირისპიებულობა, რამეთუ ამ ურთიერთობებში მთავრობების

ძირითადი ფუნქციაა საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვა, ისინი კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის (ქვეყნის) ფარგლებში მოქმედებენ, მაშინ როცა ტნკ-ები არ არიან შეზღუდული ტერიტორიულად და მათი ინტერესის სფეროს წარმოაგენს აქციონერების და დაინტერესებული მხარეების ინტერესის დაცვა (რაც მაღალი მოგების მიღებაში გამოიხატება). რაც მთავარია, კომერციულმა კომპანიებმა შეიძლება დასახონ მიზნები და შესრულების გზები, რომლებიც თანხვედრაშია კომპანიის საერთაშორისო ამოცანებთან, თუმცა უგულებელყოფს ქვეყნების ინტერესებს. ამის ნათელი მაგალითია Walmart, რომელიც პროდუქციას ქმნის დაბალი მუშა-ხელის მომწოდებელ ქვეყანაში (ჩინეთი), თუმცა მისი პროდუქცია შექმნილია მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის (ძირითადად აშშ). მან თავის მომწოდებლებს (რომლიც აშშ-ს კომპანიებს წარმოადგენენ) უბიძგა, რომ საკუთარი საწარმოები გადაეტანათ ჩინეთში, ამით საკუთარ ქვეყანაში ზრდის დაბალანაზღაურებადი მუშახელის უმუშევრობის დონეს.

ხშირად, ტნკ-ებს ექმნებათ იურისდიქციული პრობლემები. ისინი ოპერირებენ მრავალ ქვეყნებში და შესაბამისად, უწევთ სხვადასხვა იურისდიქციის გავლენით მუშაობა. აღნიშნული იწვევს კომპანიების დაბნეულობას, რადგან რთულია სწორად განსაზღვრო სად-რომელ კანონს დაემორჩილოს. ზოგიერთი მთავრობა, მაგ აშშ-ის, კანონის დონეზე ჩართულია, რომ დაეხმაროს აშშ-ს მოქალაქეს, ან აშშ-ში დაფუნებულ კომპანიას სხვადასხვა ქვეყნების კანონების ბიზნესზე მორგებაში და გაუწიოს იურიდიული მომსახურება. ხშირად ამგვარი ჩართულობა სხვა ქვეყნის მთავრობებისგან კრიტიკის საგანი ხდება, რადგან აღიქმევა, როგორც ბიზნესში ჩარევის მცდელობა.

მიმოვიხილოთ ორი ტნკ-ის საქმიანი მოღვაწეობა და მისი გავლენები მსოფლიოზე: ჯენერალ მოტორსი და ბრითიშ პეტროლიუმი.

ჯენერალ მოტორსი (შემდგომში - GM): კომპანია შეიქმნა 1908 წელს, სათაო ოფისი: დეტროიტი. 1929 წლისთვის GM -მა გაყიდვებით გადააჭარბა ფორდ მოტორს კომპანი-ს, იმ დროისთვის აშშ-ს ბაზრის ლიდერს მსუბუქი ავტომობილების წარმოებაში. 1925 წელს დაარსა Yellow Truck & Coach საწარმო

(შემდგომი GMC Truck & Coach Division), რამაც დასაბამი დაუდო ახალი, აშშ-ში დაარსებული კომპანიების და შვილობილი კომპანიების შექმნას. 1931 წელს GM გახდა მსოფლიოში უდიდესი ავტომწარმოებელი კომპანია. 1941 წლისთვის ის აშშ-ში წარმოებული მანქანების 44 %-ს აწარმოებდა და გახდა ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო კორპორაცია მსოფლიოში[31].

კომპანია აშშ-ს ეკონომიკის ზრდასთან ერთად პარალელურად ვითარდებოდა და განარგძობდა ზრდას 1950იან და 1960იან წლებში (ქვეყნის ავტოინდუსტრიაში გაყიდვების 40-45% ფლობდა). განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი გარიგებები: 1984 წელს შეიძინა მონაცემთა დამუშავების დიდი კომპანია Electronic Data Systems Corporation, და 1986 წელს შეიძინა Hughes Aircraft Company, იარაღის სისტემებისა და კავშირგაბმულობის სატელიტების მწარმოებელი კომპანია.

მე-20 საუკუნის 70იანი და 80იანი წლები ხასითდება იაპონური ავტოინდუსტრიის აღზევებით, რომელიც მძაფრ კონკურენციას უწევდა აშშ გიგანტ ავტოკომპანიებს. ამის საპასუხოდ, ჯენერალ მოტორმა 1984 წელს დაიწყო ახალი პროექტი „სატურნი“, რომელსაც იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილებისთვის უნდა გაეწია კონკურენცია. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მოდერნიზაციის მცდელობებმა აჩვენა გარკვეული წარმატებები, 90იანი წლების დასაწყისში მიღებულმა დანაკარგებმა, ჯენერალ მოტორსი აიძულა რომ დაეხურა მრავალი ქარხანა და გაეთავისუფლებინა ათეულობით ათასი მუშახელი. აღნიშნულმა გარემოებებმა კომპანია იძულებული გახადა, მთელი მისი ფინანსური აქტივები მიემართა ავტოინდუსტრიის გასაძლიერებლად. 1997 წელს გაყიდა მის კუთვნილებაში არსებული ელექტრონული მონაცემთა სისტემა და მიყიდა თავისი კომპანიის Hughes Electronics- ის შვილობილი კომპანიას (Raytheon), ამ ნაბიჯით GM -მა დატოვა კომპიუტერული სერვისები და თავდაცვის და კოსმოსური სფეროები, რათა კონცენტრირება მოეხდინა მის საავტომობილო ბიზნესზე. ამავე მიზანს

[31]https://www.britannica.com/topic/General-Motors-Corporation#ref337407

ემსახურებოდა 2006 წელს გაყიდული General Motors Acceptance Corporation (GMAC), რომელიც GM-მა დაარსა 1919 წელს და ჰოლდინგს და მის შვილობილ კომპანიებს უწევდა ფინანსურ მომსახურებას. 2000 წელს GM ერთადერთი მფლობელი გახდა Saab Automobile AB-ის, მალევე კომპანიას ფლობდა წილები ისეთ საავტომობილო კომპანიებში, როგორიცაა Fiat, Isuzu, Fuji Heavy Industries (Subaru) და Suzuki. მრავალი ძალისხმევის მიუხედავად, 2008 წელს მსფოლიო ბაზარის ლიდერობა ავტოინდუსტრიაში არავის დაუთმო Toyota Motors Company-მ.

2008 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოაცხადა გადაუდებელი ფინანსური სამაშველო გეგმა, რომელიც დაეხმარებოდა უმსხვილეს სამ ავტომწარმოებლებს - "კრაისლერს", "ჯენერალ მოტორს" და "ფორდს", რათა თავიდან აეცილებინათ 2008 წლის კრიზისით გამოწვეული ავტო ინდუსტრიის ნგრევა. გეგმის წარდგენისთანავე მობილიზიებულ იქნა 13,4 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სამთავრობო სესხი Troubled Assets Relief Program (TARP, პრობლემური აქტივების დახმარების პროგრამა) ფარგლებში, ამასთან 700 მლრდ-ის ოდენობის ფონდი დამტკიცდა კონგრესის მიერ ფინანსური ინდუსტრიის დასახმარებლად, რომლელიც გამოწვეული იყო იპოთეკური სესხების გამო. ამ პერიოდში GM-მ ჯამში მიიღო 60 მლრდ აშშ დოლარი სესხების და დახმარების სახით. სესხები საშუალებას აძლევდა ავტო კომპანიებს ფუნქციონირება გაეგრძელებინათ 2009 წლის მარტის ჩათვლით, ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიები ვალდებულნი იყვნენ წარედგინათ ფინანსური რენტაბელობის დამადასტურებელი გეგმა ან თანხა დაებრუნებინათ 30 დღის განმავლობაში. „კრაისლერმა“ და „ჯენერალ მოტორსმა“ ისარგებლეს შემოთავაზებული დახმარებით, „ფორდმა“ განაცხადა, რომ ფლობდა შესაბამის რესურსებს, რომ დამხმარების გარეშე გაეგრძელებინა ოპერირება. ამის შემდეგ, GM-ს სასესხო დავალიანება შეადგენდა 173 მლრდ აშშ დოლარს და 2009 წლის ივნისში მან მიმართა Chapter 11-ს (აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, ეს არის გაბანკროტების ფორმა, რომელიც გულისხმობს დებიტორების, ბიზნეს საქმიანობის, ვალების და აქტივების რეორგანიზაციას, ამის გამო, მას ხშირებად

გაბანკროტების რეორგანიზაციას უწოდებენ), და თავი ბანკროტად გამოაცხადა. შასაბამისად, კომპანია გადავიდა რეორგანიზაციის ფორმატში. 2010 წელს შეწყვიტა ისეთი ბრენდების წარმოება როგორიცაა პონტიაკი და სატურნი, სააბი - გაყიდა. ამის შემდეგ მომხმარებელს აწვდიდა მხოლოდ 4 მოდელის მსუბუქ ავტომობილს: Buick, Cadillac, Cherolet და GMC. უკვე 2010 წლის ნოემბერში კომპანია დაბრუნდა ბაზარზე და მან საკუთარი აქციები განათავსა ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, რომლის IPO (Initial public offering) ყველაზე დიდი იყო აშშ-ს ისტორიაში. მომდევნო წელს GM-მა დაიბრუნა თავის ტიტული, როგორც ყველაზე დიდმა ავტომობილების მწარმოებელმა კომპანიამ.

2014 წლიდან ახალი რთული პერიოდი დაიწყო GM თვის, აღმოჩნდა რომ, ბოლო ათი წლის განმავლობაში ის მალავდა ფაქტს, რომ მის რამდენინმე მოდელს ქონდა ქარხნული დეფექტი (აალების კონცენტრატის გაუმართაობა), ითვლებოდა, რომ აღნიშნულმა დეფექტმა სულ მცირე 120 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მიუხედავად ამისა, 2014-2016 წლები კომპანიისთვის საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა და გამოირჩოდა რეკორდული გაყიდვებით, თუმცა 2017 წელს GM- მა Opel და Vauxhall მიჰყიდა PSA Group- ს, Peugeot და Citroën ავტომობილების ფრანგულ მწარმოებელს. გარიგების საერთო ღირებულებამ შეადგინა 2 მლრდ აშშ დოლარზე მეტი. ეს იყო კომპანიის ევროპული ეპოპეის დასასრული.

ბრითიშ პეტროლიუმი (შემდგომში BP) მსოფლიოში ყველაზე დიდი ბრიტანული ნავთობ კომპანიაა, რომელიც ბაზარზე ოპერირებს 1909 წლიდან. კომპანიის სახელწოდებას ისტორიის განმავლობაში რამდენჯერმა შეიცვლა, მისი ამჟამინდელი სახელია „British Petroleum PLC", რომელსაც 2000 წლიდან ატარებს. თავდაპირველად კომპანიის მთავარი აქციონერი იყო ბრიტანეთის მთავრობა, თუმცა 1977 წელს შეამცირა თავისი წილი და მოგვიანებით 80-იან წლებში სრულად გაყიდა აქციები. თავისი არსებობის მანძილზე BP-მ რამდენიმე მნიშვნელოვანი გარიგება განახორციელა სხვა დამოუკიდებელი ნავთობ კომპანიების შესყიდვის სახით.

კომპანიის ისტორიაში მნიშვნელოვანია ისეთი მოვლენები, როცა გარემოსდაცვით და უსაფრთხოების დარღვევის მთავარი მონაწილე თავად იყო. მათ შორის, 2005 წლის ტეხასის ქარხნის აფეთქება, სადაც დაიღუპა 15 მუშა და OSHA-სგან (შრომითი უაფრთოების და ჯანმრთელობის ადმინისტრაცია, აშშ) მიიღო რეკორდული ჯარიმის ოდენობა. 1967 წლის ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ნავთობის დაღვრა, რომელმაც გამოიწვია ტორის კანიანის განადგურება, და 2006 წლის პროდის ყურის ნავთობის დაღვრა, ყველაზე მაშტაბური რომელიც მომხდარა ალასკის ჩრდილოეთით. BP დაჯარიმდა სამოქალაქო ჯარიმით 25 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, იმ დროისთვის რეკორდული მაჩვენებლით თითო დაღვრილ ბარელზე გათვალისწინებით.

BP ლობირებდა ბრიტანულ მთავრობას, რათა პატიმრების გაცვლითი პროცესი სამართლებრივად გაფორმებულიყო. ლიბიის მთავრობას სურდა, რომ გაეთავისუფლებინა აბდელბასტ ალ-მეგრა (ერთადერთი ბრალდებული 1988 წლის შოტლანდიის აფეთქებაში, რომელმა 270 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა). BP -ს სურდა რომ ამ პროცესისთვის იურიდიული ძალა მიეცა და ხელშერულებით გაფორმებულიყო, რათა რეგიონში მის ინვესტივია საფრთხის ქვეშ არ დამდგარიყო, რომელიც 900 მლნ ფუნტს აჭარბებდა[32].

2010 წლის ივნისის „The Washington Post"-ის სტატიაში საუბარი იყო BP -ს ლობისტურ ხარჯებზე, სადაც ჟურნალისტური კვლევებით ამტკიცებდა, რომ კომპანია უხეშად ერეოდა ნავთობის გადასახადების საკანონმდებლო ცვლილებებში. 2008 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში BP -ის მენეჯმენტმა გაიღო დიდი თანხა, რომლის უმეტესი მიიღო ბარაკ ობამას საარჩევნო შტაბმა. ეს შენატანები აღემატებოდა Shell და Chevron-ის შენატანებს, თუმცა მცირე იყო Exxon Mobil-ის დაფინანსებასთან შედარებით.

გამოცემა „The Guardian"-ის თანახმად, 2009 წელს, BP– მ დახარჯა თითქმის 16 მილიონი აშშ დოლარი აშშ-ს კონგრესის ლობირებაზე. 2011 წელს, BP- მ

[32]http://edition.cnn.com/2010/POLITICS/05/05/bp.lobbying/index.html

მთლიანობაში 8,4 მლნ აშშ დოლარი დახარჯა ლობირებაზე და ყავდა რეგისტრირებული 47 ლობისტი.

1937 წელს, IPC (ერაყის ნავთობ კომპანია), რომლის 23,75% ფლობდა BP, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ნავთობის გადაცემის შესახებ მუსკატის სულთანთან. 1952 წელს IPC-მ შეთავაზა ფინანსური დახმარება სულთან, რომელიც დაეხმარებოდა აჯანყებაში და მიმდებარე ტერიტორიების დაპყრობაში, რომლებიც გეოლოგების აზრით მდიდარი იყო ნავთობით. ამან გამოიწია 1954 წელს დაწყებული ომანის ომი, რომელიც 5 წელი გრელდებოდა.

დღესდღეობით BP და მისი შვილობილი კომპანიები ნავთობის და ბუნებრივი გაზის მოკვლევას, წარმოებას, ტრანსპორტირებას და რეალიზაციას. მისი ძირითადი მომხმარებლები არიან ისეთი კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ქიმიკატებს, პლასტიკატებს და სინთეზურ ბოჭკოებს.

აღსანიშნავია რომ BP იყო ძირითადი ინვესტორი კამპანია „მწვანე ენერგიის“, და 2003 წელს კომპანიის სლოგანი იყო „Beyond Petrelum”(მეტი ვიდრე ნავთობი). თუმცა, რამდენიმე წელში მან შეაჩერა განახლებადი ენერგიის გამომუშავების ძალისხმევა, და დახურა მისი ერთერთი განყოფილება, რომელიც მზის ენერგიაზე მუშაობდა.

3.2. ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

ტნკ-ების მოღვაწეობის არეალი არის მსოფლიო, შემდგარი ცალკეული ქვეყნებისგან. როგორც აღვნიშნეთ, მათი მიზანი არის მაქსიმალურად მეტი მოგების მიღება და თავის თავს არადროს დაუწესებენ რაიმე სახის შეზღუდვებს, რაც მიზნის მიღწევაში შეაფერხებთ. თავის მხრივ, ამ ქვეყნებს ყავთ ხელისუფლება, ხალხის მიერ არჩეული მთავრობა, რომლის პირდაპირი მოვალეობაა მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისად უწევს სხვადახვა რეგულაციების შემოღება ამის უზრუნვესაყოფად. შესაბამისად საინტერესოა, ამ ორი სუბიექტების (ტნკ-ები და მთავრობები) თანაარსებობის

წესები, რომლის ჩამოყალიბებაშიც აქტიურად არიან ჩართულები სხვადახვა საერთაშორისო ორგანიზაციები. რა კრიტერიუმები განსაზღვრავს „სამართლიანი თამაშის“ წესებს და ყველაზე მნიშვნელოვანი, რა ხდება მაშინ, როცა მთავრობა სწორად არ განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტებს და ტნკ-ები არ იცავენ დადგენილ რეგულაციებს?

ბოპალის ქეისი : ყველაფერი დაიწყო იმით, რომ Union Carbide Corporation-მა (შემდგომში UCC) (ქვეყანა - აშშ) განიზრახა პესტიციდების მწარმოებელი ქარხნის მშენებლობა დაბა. ბოპალში (ინდოეთი). კომპანიის მხრიდან ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენდა შემდეგი: ა) ინდოეთი წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილეს ბაზარს სოფლის მეურნეობაში, სადაც მოიხმარება UCC-ს წარმოებულ პროდუქციას, ბ) რეგულაციების ნაკლებობა და ქვეყნის მთავრობის უპირობო ხელისშემწყობი და მფარველობითი დამოკიდებულება ტნკ-ების ინტერესების მიმართ.[33]

ტნკ-ებისთვის ჩვეული სტრატეგიით დაარსდა შვილობილი კომონია Union Carbide India Limited (შემდგომში - UCIL) (ქვეყანა - ინდოეთი), რომლის კაპიტალის წარმომავლობა უმეტესწილად უკავშირდებოდა აშშ-ს და იმართებოდა ვირჯინიის შტატში განთავსებული ოფისიდან. ყოველივე ამით, მშობელი კომპანია (UCC) თავისუფლდებოდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, რასაც კომპანია მომდევნო ათწლეულების განმავლობაში კარგად იყენებდა.

1969 წელს UCIL-მა ააშენა ქიმიური ქარხანა, რომელიც კომბინირებას უკეთება მეთილის იზციანატს რეაქტიულ ალფა ნაფტალინთან, შედეგად შეიქმნა პესტიციდი სახელწოდებით Sevin. იმ დროისთვის ჯერ კიდევ მოქმედებდა 1951 წლის ინდოეთის ინდუსტრიული განვითარების და რეგულირების აქტი, რომლიც მხოლოდ შეზღუდულ ინდურ კომპანიებს, შეზღუდული ოდენბით აძლევდა ქვეყანაში პესტიციდების წარმოების უფლებას. შესაბამისად UCIL-ს მთავრობამ თავიდანვე კარგი პირობები შეუქმნა ინვესტორს. მეტიც, 1972 წელს

[33]https://www.asso-sherpa.org/wp-content/uploads/2017/04/Bhopal-ENGLISH-VERSION-1.pdf

ადგილობრივმა შტატმა პირველად დაუშვა კომპანიის ქარხნის ტერიტორიის 100 წლიანი ლიზინგით გაცემა, 1974 წელს ინდოეთის მთავრობამ მიიღო კანონი უცხოური კაპიტალის რეგულირების შესახებ, რომლიც 40%იან ზედა ზღვარს უწესებდა უცხოურ კაპიტალს ინდურ კომპანიების მთლიან აქტივებში, თუმცა გაკეთდა გამონაკლისი UCIL-თვის, და მშობელ კომპანიას UCC-ს დაუტოვა უფლება შეენარჩუნებინა 50,9%იანი წილი.

დამატებით, კომპანის მხრიდან უგულებელყოფილ იქნა ბოპალის ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც კრძალავდა 2 კილომეტრის რადიუსში რკინიგზის სადგურიდან დამაბინძურებელი ქმედებებს. 1975 წლის ადგილობრივი კანონმდებლობა აიძულებდა გარემოსთვის საშიში პროდუქტის მწარმოებელ სამრეწველო კომპანიებს დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით გადაეტანათ საწარმოები, თუმცა ხელისუფლებისთვის „მისაღებ“ კომპანიისთვის (UCIL) გაკეთდა გამონაკლისი არამხოლოდ აღნიშნულ რადიუსში მეთილის იზოციანიტის წარმოება, არამედ - შენახვაც, რამაც საშუალება მიცა ადგილობრივ კომპანიას წარმოების გაფართოევების მშობელი კომპანიის უშუალო მეთვალყურეობით და პირდაპირი მითითებით.

UCC-ს მიერ გატარებული პოლიტიკის წყალობით, სადაც უგულებელ ყოფილი იყო გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები, მან დახარჯა 8 მილიონი დოლარით ნაკლები, ვიდრე ეს ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული ქარხნის მშენებლობისათვის. ხარჯების შემცირება განაპირობებული იყო უსაფრთხოების სისტემაში არასათანადო ინვესტირებით, რამაც გამოიწვია მომაკვდინებელი გაზის გაჟონვა. არსებული სისტემა არ ითვალისწინებდა ქარხანაში ინციდენტის დროს ავტომატურ საგანაგაშო ღილაკის ჩართვას, ასევე არანაირი უსაფრთხოების ავტომატიზირებული სისტემა არ არსებობდა ავზებში წნევი ან ტემპერატურის უეცარი ცვლილების შემთხვევაში, სადაც ინახებოდა საშიში ქიმიური ნივთიერებები. მეტიც, ქარხანას საერთოდ არ გააჩნდა საგანგებო გეგმა.

ყოველივე ზემოთაღნიშნულმა განაპირობა 1984 წლის 3 დეკემბერს ღამის საათებში მომხდარი კატასროფა, რომელიც სავსებით სამართლიანად შეგვიძლია

ვივარაუდოთ, რომ ეს არ ყოფილა „უბედური შემთხვევა“ - კლასიკური გაგებით. კატასტროფის აცილება შეიძლებოდა და ამის ნიშნები ათწლეულობის განმავლობაში თვალსაჩინო იყო. გამოძიებამ აჩვენა, რომ კომპანიის სათაო ოფისში (ვირჯინია) ყველაფერი იცოდნენ, თუმცა არანაირი ზომები არ იყო მიღებული. 1981 წელს გარდაიცვალა მუშა, რომელსაც ქარხნიდან გამოქონდა ქიმიური ნარჩენები უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე. 1982 წლის იანვარში ფოსგენის გაჟონვის გამო 24 მუშა მოიწამლა და მათ დაჭირდათ ჰოსპიტალიზაცია. არცერთი მათგანი გაფრთხილებული არ იყო, რომ ამ ნივთიერებასთან მუშაობისას აირწინაღი უნდა კეთებოდათ. ერთ თვეში, იგივე მიზეზით 18 მუშახელი მოიწამლა. ამავე წლის მაისში ბოპალში ჩამოვიდნენ ამერიკელი ინჟინრების გუნდი, რომლებმაც დაათვალიერეს ქარხანა და მათ მიერ დაწერილ დასკვნაში დეტალურად იყო აღწერილი მოსალოდნელი ფატალური შემთხვევების დადგომა, თუ კომპანია არ მიიღებდა შესაბამის უსაფრთხოების ზომებს. აღსანიშნავია, კატასტროფამდე არსებობდა დირექტივა, რომელიც ევროპაში განთავსებულ ქარხნებს უკრძალავდა ნახევარ ტონაზე მეტი მეთილანის შენახვას ერთ ქარხანაში მისი საშიშროებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი ინდოეთში არ მოქმედებდა, უბედური შემთხვევის ღამეს, ობპალის ქარხანაში ორ ტანკერში ინახებოდა 67 ტონა აღნიშნული ნივიერება! რაც მოგვიანებით ნიუ იუორკის სასამართლომ მიიჩნია კატასტროფის გამოწვევის კრიტიკულ ფაქტორად[34].

ყველა ამ დარღვევებმა და რეგულაციების უგულებელყოფამ გამოიწვია 1984 წლის 3 დეკემბრის ტრაგედია, როცა მოხდა მომწავლელი გაზის გაჟონვა. მომაკვდინებელი ქიმიური ღრუბელი ქარის დახმარებით მალევე მოედო მჭიდრო დასახლებულ უბანს რკინიგის სადგურის მახლობლად. ამ ფაქტით დაღუპულთა ზუსტი რიცხვის დადგენა დღემდე მიმდინარეობს (იმავე ღამით გარდაცვლილთა ოფიციალური რიცხვია 2 259, ჯამში 3 787 გარდაცვლილთა ოჯახებს გადაეხადა კომპენსაცია), თუმცა მრავალი დამოუკიდებელი

[34]https://www.asso-sherpa.org/wp-content/uploads/2017/04/Bhopal-ENGLISH-VERSION-1.pdf

გამომძიებელის და სხვადასხვა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევებით, გარდაცვლილთა რიცხვი აჭარბებს 8 000, დაშავებულები - 150 000[35].

მიმღები ქვეყნის და ტნკ-ის არაჯანსაღ და უკონტროლო ურთიერთობის (სწორედ ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა აღნიშნულის დარეგულირება) შედეგად არანაკლები მავნებლური ღონისძიებები გაატარა Union Carbide-მა პოსტ-კატასტროფულ პერიოდში, კერძოდ: აფეთქების შემდგომ პერმანენტულად იზდებოდა გარდაცვლილთა რიცხვი, ამ დროს კომპანია ინდოეთის ჯანდაცვის სისტემას არ აწვდიდა ინფორმაცია მომაკვდინებელი გაზის ტოქსიკური თვისებების შესახებ. კომპანიის მედპერსონალმა განაცხადა, რომ გაზს გააჩნდა მხოლოდ გამაღიზიანებელი ეფექტი, და უარყოფდნენ შინაგან ორგანოებზე რაიმე სახის ხანგრძლივ ზემოქმედებას. ამგვარმა ქმედებამ გამოიწვია ის, რომ ადგილობრივი ექიმები არაშესაბამისად მკურნალობდნენ დაზარალებულებს, ვერ ხერხდებოდა შესაბამისი ოქმების შედგენა, რაც თავისთავად ზრდიდა ფატალურ შემთხვევებს.

ამ მაგალითით არ ვცდილობთ იმის ჩვენებას, თითქოს ტნკ-ები არიან „მონსტრების კორპორაციის“ მსგავსი კომპანია, რომლის მიზანს წარმოადგენს მიმღები ქვეყნის დაზიანება. ეს რა თქმა უნდა ასე არ არის. მეტიც, რაც უფრო ფინანსურად ძლიერი და კმაყოფილი იქნება მოსახლეობა მიმღებ ქვეყანაში, ეს ნიშნავს მეტ მომხმარებელს და შესაბამისად მეტ გაყიდულ პროდუქციას. თუმცა, ისევ და ისევ არ უნდა დაგვავიწყდეს კომპანიების მთავარი მიზანი (და ზოგისთვის მისიაც) არის რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება ნაკლები დანახარჯით. სწორედ აქ გვევლინება სახელმწიფო, როგორც საკუთარი მოსახლეობის დაცვის გარანტი. ამიტომ არის აუცილებელი დემოკრატიული, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული კანონებით გამყარებული ეკონომიკური უსაფრთხოების სწორი კონცეფციები განსაზღვრა, მისი მუდმივი დახვეწა და აღსრულების კუთხით თვალყურის დევნება.

[35] https://docs.google.com/file/d/0B0FqO8XKy9NRZDNzTkZQeVJQbE0/edit?pli=1

ბოპალის მაგალითზე შეგვიძლია ერთი შეხედვით დავასკვნათ, რომ ეს ქეისი განვრცობადია განვითარებად ქვეყანასთან, რომელიც მოწყურებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საკუთარი ეკონომიკის გასაძლიერებლად, იმ სიკეთეების მისაღებად რასაც ქვეყნები ღებულობენ ტნკ-ების მიერ მათ ქვეყნებში შვილობილი კომპანიების დაარსებით. თუმცა თუ კანონის აღსრულება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციები არ არის შესაბამის დონეზე, კორპორაციული მაშტაბური კატასტროფა ისეთ ქვეყანაშიც შეიძლება მოხდეს, როგორიც არის აშშ.

დუპონის ქეისი : 2001 წელს 80 000-მა აშშ-ს მოქალაქემ შეიტანა სხვადასხვა ტიპის სარჩელი ქიმიური ნივთიერებების მწარმოებელ კომპანია DuPont- ის (სრული დასახელება - DuPont de Nemours, Inc) წინააღმდეგ დასავლეთ ვირჯინიისა და ოჰაიოს შტატების სასამართლოში. მიზეზად დასახელდა პარფლუროკანტოზური მჟავით (PFOA) მათი სასმელი წყლის დაბინძურება კომპანიის მიერ. 2004 წელს მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ DuPont გადაიხდიდა 405 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით ზარალის ანაზღაურებას, ასევე კომპანია დააფინანსებდა დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევებს, რომელიც შეისწავლიდა PFOA-ს ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურა, რომ PFOA მომაკვდინებელ დაავადებების პროვოცირებას უწყობდა ხელს ადამიანის ორგანიზმში, 3 500 მოქალაქეს დაუდასტურდა მისი მავნე მოქმედება, რის გამოც კომპანიას მოუწია დამატებით 670 მლნ. აშშ დოლარის გადახდა ჯარიმის სახით.[36]

ყველაფერი დაიწყო 1947 წელს, როცა კომპანიამ 3M შექმნა არადეგრადირებადი ქიმიური ნივთიერება PFOA. 1951 წლიდან DuPont-მა, იმ დროისთვის მსოფლიოში უმსხვილესმა ქიმიურმა კომპანიამ, დაიწყო Teflon-ის (სინთეზური წყალგაუმტარი აგრეგატი) წარმოება, რომელიც გამოიყენებოდა ყოველდღიური მოხმარების ისეთ ნივთებში, როგორიცაა ქვაბები, პიცის ყუთები, წყალგაუმტარი ტანსაცმელი და სამედიცინო ხელსაწყოები.

[36]https://www.business-humanrights.org/sites/default/files/documents/Dupont%20case.pdf

2011 წელს, კვლევებით დადასტურდა კავშირი PFOA-სა და ისეთ დაავადებებს შორის, როგორიცაა: ახალშობილის თანდაყოლილი დეფექტები, თირკმლის კიბო, სათესლე ჯირკვლების კიბო, ფარისებრი ჯირკვლების დაავადება, წყლულოვანი კოლიტი, ჰიპერქოლისტერინომია და ორსულობის შედეგად გამოწვეული ჰიპერტენია. მომდევნო კვლევებმა ცხადყო აღნიშნული ნივთიერების კავშირი სხვა მომაკვდინებელ დაავადებებთან. აღსანიშნავია, რომ PFOA-ს მავნე ზემოქმედება შეიძლება გავრცელდეს ჰაერის ან წყლის საშუალებით. ეს ნივთიერება აშშ-ს მოსახლეობის 99,7%-ის სისხლშია და 100 შტატიდან 27 შტატში დასაშვებ ზღვარზე მაღალია დასალევი წყლის სისტემებში.

აქაც გვერდს ვერ ავუვლით სახელწიფოს მხრიდან სწორ და პრინციპულ მიდგომებს, რომელიც გაწერილი უნდა იყოს კანონებში შესაბამის უწყებასთან (ამ შემთხვევაში ჯანდაცვის სამინისტრო) კოორდინაციაში, რაც საბოლოო ჯამში აისახება ეროვნული უსაფრთხოების დებულებებში. 1976 წლის ტოქიკური ნივთიერებების კონტროლის შესახებ კანონის თანახმად აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს რეგულირებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ქიმიური ნივთიერებები, რომლის დამაზიანებელი ეფექტი ადამიანის ჯანმრთელობაზე დადგენილი იყო. PFOA-ს ამგვარი ეფექტი 2011 წლამდე დადგენილი არ იყო. გამოძიებით დადასტურდა, რომ DuPont 7 100 ტონა აღნიშნული ნივთიერება ჩაასხა ოჰაიოს მდინარეში, რომელიც ხვდებოდა ადგილობრივ ნიადაგში და საბოლოოდ მოსახლოების სასმელ წყალში.

2004 წელს დაზარალებულთა ერთობლივმა ჯგუფმა სასამართლოს მიმართა. 2011 წელს დამოუკიდებელმა სამეცნიერო კვლევებმა დაადგინა კავშირი PFOA-ს და 6 მომაკვდინებელ დაავადებას შირის და DuPont-ს დაევალა ჯარიმის სახით მოსარჩელეთა ჯგუფის იმ წევრებისთვის ფინანსური ანაზღაურება, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და 6 დაავადებიდან ერთი მაინც აღენიშნებოდა.

აშშ-ს გარემოს დაცვის დეპარტამენტმა 2004 წელს სასამართლოში უჩივლა DuPont-ს და 3M-ს მას შემდეგ, რაც გამოძიებით დადგინდა, რომ კომპანიებმა PFOA-ს მავნებლური ზემოქმედების შესახებ გარემოზე და ადამიანის

ჯანმრთელობაზე ჯერ კიდევ 1976 წელს ქონდათ ინფორმაცია, თუმცა არ აცნობეს შესაბამის ორგანოს! მრავლობითი ჯარიმების გარდა, DuPont დათანხმდა რომ 2015 წლიდან შეაჩერებდა PFOA-ს წარმოებას, თუმცა ეს არ არის გარანტი იმისა, რომ მომავალში არ მოხდება მსგავსი ქიმიკატების გამოყენება. 9 კომპანია, რომელიც DuPont-ის მსგავსად აწარმოებდა PFOA-ს, დათანხმდა აშშ-ს გარემოს დაცვის დეპარტამენტს აღნიშნული ნივთიერების ეტაპობრივ ამოღებაზე, თუმცა ჩაანაცვლეს ახალი ნივთიერებით, სახელად PFAS, რომლის ზემოქმედება ჯერჯერობით უცნობია (როგორც ზევით აღვნიშნე, ქიმიურ ნივთიერებაზე აშშ-ს გარემოს დაცვის დეპარტამენტის რეგულირება იწყება მას შემდეგ, რაც დგინდება მისი მავნებლური თვისებები).

რა თქმა უნდა, ასეთმა მაშტაბურმა შემთხვევამ გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე. 2016 წელს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ბარაქ ობამამ შესწორება შეიტანა ტოქსიკური ნივთირებების კონტროლის აქტში, რომელიც 1976 წლიდან მოქმედებდა (სხვათა შორის 1976 წლის აქტის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა DuPont). შესწორება ძირითადად ეხებოდა აშშ გარემოს დაცვის დეპარტამენტის უფლებების გაფართოებას, მაგრამ საკრარული ჩარჩო, რომლითაც დეპარტამენტი არგულირებს ქიმიურ ნივთიერებას, მას შემდეგ რაც ადამიანს მიადგა ზიანი, უცვლელი დარჩა, მაშინ როცა რიგი არასამთავრობოები მოითხოვდნენ, რომ ქიმიური ნივთიერებები ბაზარზე გაყიდვამდე ყოფილიყო შემოწმებული და არა პოსტ-ფაქტუმ.

ტნკ-ების მიერ საქართველოს დაინტერესება ძირითადად განპირობებული არის მისი გეოგრაფიული ადგილმდებარებიდან გამომდინარე. ჩვენ წარმოვადგენთ სამეზობლოს (ამიერკავკასიის) ცენტრალურ სახელმწიფოს, რაც ლოჯისტიკურად უპირატეს მდგომარეობაში გვამყოფებს. საბჭოთა კავშირის დაშლის და დამუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველა მთავრობას დეკლალირებული ქონდა კეთილგანწყობილი დამკიდებულება პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების (პუი) მიმართ. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული მონაცემები ასე გამოიყურება (მილიონი აშშ დოლარი)[37]:

წელი	პუი
2013	1 039.2
2014	1 837
2015	1 729.1
2016	1 650.3
2017	1 962.6
2018	1 265.2
2019	1 267.7

ცნობადი საერთაშორისო კომპანიები, რომლებმაც საქართველოში განახორციელეს პუი და გახსნეს შვილობილი კომპნიები შეგვიძლია გამოვყოთ: სს კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია, შპს ფილიპ მორის საქართველო, სს სოსიეტე ჟენერალ ჯგუფი, მაკდონალდს საქართველო, კარფური და ა.შ. სამწუხაროდ, აღნიშნული კომპანიები საქართველოში ეწევიან ძირითადად ვაჭრობას და მომსახურებას, რაც არაა დაკავშირებული განახლებული წარმოების საშუალებების ინვესტირებასთან, რის საშუალებითაც ხდება ქვეყნისთვის უახლესი სამეცნიერო მიღწევების გაზიარება, ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობა და დანერგვა. ამ მხრივ გამოირჩევა სს კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია, რომელიც აწარმოებს საკუთარ პროდუქციას საქართველოში და მრავალი ნომინაციის და ჯილდოს მფლობელი გახდა საერთაშორისო მასშტაბით. ცალკე აღნიშვნის ღირსია სს სოსიეტე ჟენერალ ჯგუფი, რომელმაც განახლებული მომსხურება შესთავაზა ქართველ მომხმარებელს და 2010 წელს, როცა ბაზრის საშუალო საპროცენტო განაკვეთი იპოთეკურ სესხზე (ვალუტა - აშშ დოლარი)

[37] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

შეადგენდა 15%, მან შეთავაზა 11%იანი განაკვეთი, რამაც საფუძველი ჩაუყარა ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. ქვემოთ მოკლედ აღვწერთ ბრითიშ პეტროლიუმის (BP) მოღვაწეობას საქართველოში, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობით უდაოდ ღირშესანიშნავი ფაქტი აღმოჩნდა. ეს იყო პირველი ქართული მიღწევა საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკურ ასპარეზზე დამოუკიდებლობის მიღებიდან, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ პროექტის პოტენციური საფრთხეებიც ეკონომიკური უსაფრთხოების ჭრილში.

BP საქართველოში პირველად 1996 წელს შემოვიდა, იმ დროს, როდესაც შირაგის საბადოს ათვისება დაიწყო და „ადრეული ნავთობის პროექტის“, მათ შორის , დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადების (WREP) მშენებლობა დაიგეგმა. აღნიშნული პროექტი პირველია იმ სამ ძირითად პროექტს შორის, რომელიც BP-მ საქართველოში განახორციელა. 1994 წელს კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სანაპირო წყლებში მდებარე აზერი-შირაგი-გუნაშლის (ACG) საბადოების განვითარების მიზნით BP-ს მიერ მართულ კონსორციუმთან, აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიასთან, (AIOC) პროდუქციის განაწილების ხელშეკრულება დაიდო.

BP-ის მიერ განხორციელებულ პროექტებში მრავალი ქართველი დასაქმდა, ასევე გაიცა კომპენსაციები მათზე, ვის საკუთრებაში არსებული მიწების დროებით გამოყენების აუცილებლობა წარმოიშვა მილსადენის მშენებლობის დროს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი რეგიონული მნიშვნელობის პროექტია, რადგან მაბ ბოსფორის გადატვირთული სრუტის გვერდის ავლით კასპიის ზღვა პირდაპირ ხმელთაშუა ზღვასთან დააკავშირა. მილსადენის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა და ნედლი ნავთობის პირველი პარტიის ექსპორტი თურქეთში მდებაზე ჯეიჰანის ტერმინალში 2006 წლის ივნისში განხორციელდა.

1999 წელს შაჰ დენიზის გაზის საბადოს არსებობა დადასტურდა. 2001 წელს აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს შორის ხელი მოეწერა სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას ბუნებრივი აირის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ. სამხრეთ კავკასიური მილსადენი

და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენები საქართველოს ტერიტორიაზე ერთ საერთო დერეფანში აშენდა. სამხრეთ კავკასიური მილსადენი მთელი რეგიონისათვის გაზით მომარაგების ახალი და მნიშვნელოვანი წყაროა. კავკასიის გაზსადენის სისტემის პროექტი ქმნის პირველ დამაკავშირებელ რგოლს მილსადენების ჯაჭვში, რომელიც სამხრეთის გაზის ახალ კორიდორს წარმოადგენს და მისი მეშვეობით მოხდება კასპიის გაზის პირველად ევროპაში გატანა.

ამჟამად BP საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტორია, რომელმაც ინფრასტრუქტურის და სოციალური განვითარების პროექტებში 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დააბანდა.

1768 კმ. სიგრძის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი ახალი ათასწლეულის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საინჟინრო მიღწევაა. მას დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია და აზერი-შირაგი-გუნაშლის საბადოს სრული განვითარების საექსპორტო მოთხოვნებს პასუხობს. BTC-ის მშენებლობაზე გაწეული ხარჯების 70%-ს მესამე მხარეები აფინანსებენ. BTC-თან დაკავშირებულ სესხებს, საექსპორტო კრედიტებს და რისკის დაზღვევას უზრუნველყოფს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), შვიდი ქვეყნის საექსპორტო-საკრედიტო ორგანიზაციები და 15 კომერციული ბანკის სინდიკატი.

დაფინანსების ხელშეკრულებები საბოლოო სახით 2004 წლის თებერვალში პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ორწლიანი კვლევისა და მონიტორინგის და საჯარო კონსულტაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა. კრედიტორების მონაწილეობა აუმჯობესებს პროექტის გამჭირვალობას, საშუალებას აძლევს მათ ჩაერიონ პროექტების განხორციელების პროცესში და მისი პოტენციალის განვითარების საქმეში.

რაც შეეხება შაჰ დენიზის პროექტს, კონდესირებული გაზის უდიდესი საბადოს აღმოჩენამ და განვითარებამ და სამხრეთ კავკასიის გაზსადენმა (SCP) აზერბაიჯანს შესაძლებლობა მისცა 2006 წლიდან გაზის მთავარი ექსპორტიორი გამხდარიყო. 2006 წლის შემდეგ, აზერბაიჯანელმა, ქართველმა და თურქმა მომხმარებლებმა

მთლიანობაში 40 მილიარდ კუბურმეტრზე მეტი გაზი მიიღეს. სამხრეთკავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტთან დაკავშირებული სარგებელი საქართველოსთვის არის:

- დაახლოებით 2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების კაპიტალდაბანდება;
- დაგეგმილი კაპიტალდაბანდების დაახლოებით 20% (400 მილიონი აშშ დოლარი) დაიხარჯება ადგილობრივი მომწოდებლებისგან საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე;
- მშენებლობის პიკის დროს შეიქმნება დაახლოებით 2 000 პირდაპირი სამუშაო ადგილი.
- პროექტისთვის განკუთვნილი დაახლოებით 350 000 მეტრული ტონა ტვირთის გადაზიდვა მოხდება საქართველოს საზღვაო პორტებისა და რკინიგზის მეშვეობით;
- ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების თანახმად, SCPX გაზსადენში გატარებული სატრანზიტო გაზის მოცულობის 5% საქართველოს მიეწოდება.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი ახორციელებს ნავთობის ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიის გავლით მსოფლიო ბაზრებზე მილსადენის თითქმის ნახევარი საქარველოს ტერიტორიაზე გადის. 2009 წლის განმავლობაში ნავთობსადენით დღეში დაახლოებით 86 ათასი ბარელი ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირება ხდებოდა ბაქოდან სუფსის ტერმინალამდე, ნავთობსადენის ექსპლუატაციის 99,9% ეფექტურობის პირობებში. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენს, რომელიც სრულ ექსპლუატაციაში 1999 წელს შევიდა, დღეში 100 000 ბარელამდე ნავთობის გატარება შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროექტი ქვეყნისთვის ბევრი სიკეთის მომტანი იყო (უცხოური ვალუტის შემოდინება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, ენერგოუსაფრთხოება, საერთაშორისო დონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროექტში მონაწილეობა და ა.შ.), მაინც დიდი ვნებათაღელვის ფონზე მიმდინარეობდა მისი განხილვა და მთლიანი პროცესი. წინააღმდეგობის

პირველი ტალღა მოდიოდა გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მაშინდელი მინისტრის ნინო ჩხობაძის მხრიდან, რომელიც თვლიდა, რომ მილსადენების მარშუტი ბორჯომის ხეობის გვერდით ავლით უნდა განხორციელებულიყო, რათა მოულოდნელი ინციდენტის შემთხვევაში არ მიგვეღო ეკოლოგიური კატასროფა.

2002 წლის ნოემრბერში იმდროინდელი აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი კასპიის ენერგოუსაფრთხოების საკითხებში სტივენ მანი საქართველოში სპეციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს და შეხვედრის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ მიიღო მყარი გარანტიები პროექტის შეთანხმებული მარშუტოთ განხორციელების. ქართული მხარის (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) მხრიდან სამშენებლო ნებართვებზე ხელმოწერის ვადები იწურებოდა (30 ნოემბერი), ასევე ინვესტორები აპელირებდნენ, რომ პროექტის ხელმოწერის დროს ყველა დეტალი შეთანხმებული იყო და მაშინ, როცა მილების განთავსების სათხრელი სამუშაოები უნდა დაწყებულიყო, მარშუტის ცვლილებაზე საუბარი მთლიან პროექტზე უარის თქმას ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებული იყო ალტერნატიული მარშუტი, პრექტის ხელმძღვანელებს ის არარელევანტულად მიჩნდათ (დამატებით 20-30 მლნ აშშ დოლარით ზრდიდა დანახარჯებს). მინისტრი ჩხობაძე პრესაში და პირადი გამოსვლებში ღიად აცხადებდა, რომ ნავთობსადენი და გაზსადები ბორჯომის ხეობაზე არ გაივლიდა, ადასტურებდა პროექტის მნიშვნელობას და მასზე თანხმობას, თუმცა ბორჯომის 17 კმ-იანი ზოლის ამ მარშუტში შეყვანას გამორიცხავდა[38].

მეორე შემაფერხებელი ფაქტორი იყო ბორჯომ-ხარაგაულის 7 კმ-იანი ეროვნული ტყე-პარკის მშენებლობა, რომელსაც გერმანული მხარის დახმარებით უშუალოდ ახორციელებდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

[38]https://www.radiotavisupleba.ge/a/1525001.html

პროექტის მიმდინარე მარშუტის წინააღდეგი იყო მინისა და მინერალური კომპანიის მაშინდელი პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე, რომელიც თვლიდა რომ დივერსიის შემთხვევაში საფრთხე შეექმნებოდა როგორც გარემოს, ისე მსოფლიოში ცნობილ მინერალურ წყალს ბორჯომს. ის ითხოვდა კომპანიის წარმოების დაზღვევას ლიკვიდაციაზე, რაც მნერალური წყლის მარაგის ურშეტობიდან გამომდინარე, შეუფასებელი იყო.

ამავე პერიოდში პრეზიდენტ შევარდნაძეს შეხვდნენ ევროგაერთიანების ქვყნების საქართველოში აკრედიტებული ელჩები და რეგიონალური უსაფრთხოების მოსაზრებაზე დაყრდნობით ითხოვდნენ ნავთობსადენის მარშუტის სამხრეთით გადატანას.

„მწვანეთა პარტია“ ასევე აქტიურად იყო ჩართული მოლაპარაკებებში. პარტიის ლიდერი, გია გაჩეჩილაძე ადასტურებდა, რომ მოლაპარაკებაში თავიდანვე იყვნენ ჩართულნი და მათ მიერ მომზადებულ რეკომენდაციაში, რომლიც მარშუტის სამხრეთით გადაწევას გულისხმობდა, მეცნიერებათა აკადემიაც მონაწილეობდა. ის აღნიშნავდა, რომ აზრებაიჯანში უკვე იყო პრეცედენტი, როცა მოსახლეობის თხოვნის შესაბამისად აზრებაიჯანში მოხდა მილსადენის მშენებლობის მარშრუტის კორექტირება, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო პროექტის დამუშავების სტადიაში და არა ნებართვის გაცემის შემდგომ[39].

წინააღმდეგობები მოდიოდა მოსახლეობის და სხვადასხვა არასამთავრო ორგანიზაციების მხრიდან. საქართველოს ტერიტორიაზე მილსადენი გადის დაახლოებით 250 კმ-ზე და გაივლის 7 რეგიონს: გარდაბანი, მარნეული, თეთრი წყარო, წალკა, ბორჯომი, ახალციხე და ადიგენი. ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებდა კომპენსაციების საკითხი, დასაქმების პირობები, ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტიები. 2004 წლის 20 იანვარს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-მ სასამართლოს მიმართა, მოპასუხე იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ასოციაცია მიიჩნევდა, რომ სამინისტროს მიერ გაცემულ სამშენებლო ნებართვაში უგულებელყოფილი იყო

[39] https://www.radiotavisupleba.ge/a/1524994.html

დაცული ტერიტორიებისა და ნაკრძალების კანონი, ასევე მთელი რიგი პროცედურული წესები.

ჯამში, მოლსადენის მშენებლობას მოწინააღმდეგები გამოუჩნდა 10 ქვეყნის 15 ორგანიაციის სახით, რომელთან მოამზადეს 220 გვერდიანი ერთობლივი დასკვნა და გაუგზავნეს მაშინდელი დიდი ბრიტანეთის მთავრობის განვითარების საერთაშორისო მდინას. მას უნდა მიეღო გადაწყვეტილება რამდენად შეესაბამებოდა მილსადენის მშენებლობა ეკოლოგიურ, საზოგადოებრივ და სხვა მოთხოვნებს. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდა (WWF) საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მოუწოდებდა, რომ არ დაეფინანსებინათ აღნიშნული პროექტი, რადგან რეგიონში, რომელიც სეისმური აქტივობით და მეწყრული ზონების სიმრავლით გამოირჩევა მსგავსი პროექტის განხორციელება დაუშვებელია. ასევე ეს პირდაპირ ემუქრებოდა ბორჯომის ხეობაში ტურიზმის განვითარებას და საფრთხეს შეუქმნის მინერალური წყლების ინდუსტრიას, რამეთუ ნებისმიერი სახის ინციდენტი საგრძნობლად დააზიანებდა მდინარეების სისტემას.

საბოლოოდ, პრეზიდენტ შევარდნაძის დაჟინებული მოთხოვნით სამინისტრომ გაცა ნებართვა მილსადენის მშენებლობაზე. 2004 წელს იგივე სამინისტროს (მინისტრი - თამარ ლებანიძე) გაგზავნილი წერილის საფუძველზე 2 კვირით შეჩერდა მშენებლობა ბორჯომის ხეობაში. ქართული მხარე ითხოვდა დამატებით გარანტიას მშენებლობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა ბორჯომის მეწყერსაშიშ ზონას. კომპანიის მხრიდან ჩატარდა კვლევები, სადაც მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ მონაწილეობა, ერთი შეხედვით დაიწერა დამაიმედებელი დასკვნა პროექტის სანდოობის შესახებ და მილსადენის მშენებლობაც განხორციელდა თავდაპირველი მარშუტით. თითქოს ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა ყველა მხარისთვის. გარდა იმისა, რომ საქართველომ მიიღო დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდები, ასევე გვაქვს მყარი გარანტია, რომ საფრთხე არ ემუქრება ქვეყნის იშვიათ ეკოსისტემას. თუმცა ერთი ფაქტი მაინც იძლევა

შეშფოთების საფუძველს. 2010 წლის 20 აპრილს მექსიკის ყურეში მოხდა ნავთობის ინდუსტრიაში ყველაზე დიდი კატასრტოფა. ღრმაწყლოვანი ჭაბურღილი სახელად Deepwater Horizon 10 წლიანი ექსპლუატაციის შემდეგ მწყობრიდან გამოვიდა და 87 დღის განმავლობაში ყურეში ჩაიღვარა 4 მილიონი ბარელი ნავთობი. დაიღუპა 11 მუშახელი, დაშავდა - 115. მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებული იყო ყველა ზომის სტანდარტი და უსაფრთხოების ზომა, 18 000 ფუტის სიღრმეში სათხრელი სამუშაობის დროს წარმიქმნა გაუთვალისწინებელი სიტუაცია (ოფიციალური ვერსიით, ინჟინრების მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა წყალქვეშა ცემენტის წებოვნებასთან დაკავშირებით ამგვარ სიღრმეზე), რამაც გამოიწვია გამოუსწორებელი ეკოკატასროფა, რომლის მასშტაბები დღემდე არ არის ცნობილი. სამუშაოების მწარმოებელ კომპანიას სხვადასხვა ქვეყნის, ორგანიზაციის თუ მოსახლის მიმართ გადახდილმა ჯამურმა ჯარიმებმა და მოსაკრებელმა შეაგინა 65 მლრდ აშშ დოლარზე მეტი. აღნიშნული კომპანია იყო BP[40].

3.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე: პოზიტიური და ნეგატიური შედეგები

XXI საუკუნეში ეკონომიკური თვალსაზრისით ეროვნული საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორიები პირობითი უფროა, რადგან ტრანსნაციონალური კორპორაციები კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებით დაბრკოლების გარეშე (მეტიც, მიმღები ქვეყნის დიდი მონდომებით და მოწონებით) არღვევენ ამ ზღუდეებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (შემდგომში პუი) სახით. ამგვარმა ეკონომიკურმა ინტეგრაციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო გლობალიზაციის პირობებში და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა.

[40] https://www.theguardian.com/business/2010/may/02/bp-deepwater-horizon-oil-spills

პუი მნშვნელოვან გავლენას ახდენენ მიმღები ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე, მის განვითარებაზე და ზრდის ტემპებზე. ის პირდაპირ კავშირშია კაპიტალის და უახლესი ტექნოლოგიური სიახლეების ინვესტირებასთან, რაც ზრდის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, საერთაშორისო ბაზარზე მის შეფარდებით უპირატესობას და უზრუნველყოფს შიდა ბაზრის უკეთ მომარაგებას.

სწრაფი ეკონომიკური ზრდის მქონე ქვეყნებმა (ჩინეთი, სამხრეთ კორეა, მალაიზია და ა.შ.) არნახული ეკონომიკური ზრდის ეფექტს სწორედ უცხოური კაპიტალის მოზიდვის გზით მიაღწიეს. ამ ქვეყნებში მიღებულ იქნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ინვესტირების სტიმულირებისთვის, შემცირდა საგადასახადო განაკვეთები, შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონები. ამავე დროს მკაცრად განისაზღვრა სამამულო ეკონომიკური დარგები, რომლებიც გარკვეული დროით დაცული იქნებოდა უცხოური კონკურენციისგან, მაგალითად: სამხრეთ კორეაში ასეთი დარგები იყო ავტომობოლების წარმოება და ნედლი ხორცის ბინესი. მთავრობა მაღალ საბაჟო გადასახადებს აწესებდა აღნიშნულ იმპორტირებულ საქონელზე, რაც მიმღებ ქვეყანაში ამ პროდუქციას არაკონკურენტულს ხდიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ პუი-ს მოძრაობა არ ექვემდებარება რაიმე სახის დოგმებს და კანონზომიერებას. ნუ წარმოვიდგენთ, რომ განვითარებული ქვეყნების კაპიტალით გაჯერებული ინვესტიციები მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში ეძებს ნავთსაყუდელს მაღალი მოგების მიღების მიზნით (ამასაც თავისი მიზეზები აქვს, რაზეც ქვევით ვისაუბრებთ). აშშ-ს ეკონომიკაც აღმოჩნდა სამიზნე პუი-სთვის გასული საუკუნის 80-90იან წლებში, რაზეც შეშფოთებას გამოთქვავდნენ ექსპერტები, რომ ეს პროცესი ზღუდავდა აშშ-ს პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას.

ჯერ კიდევ საუკუნის წინ, ქვეყნები უცხოურ ინვესტიციებში ეკონომიკური ფაქტორის გარდა მართებულად ხედავდნენ კაპიტალის მშობელი ქვეყნის ექსპანსიურ პოლიტიკურ მიზნებს, რადგან წამყვანი ქვეყნების (დიდი ბრიტანეთი, საფრგანგეთი, გერმანია და ა.შ.) საგარეო პოლიტიკა მიზნად

ისახავდა სხვა ქვეყნების ნედლეულის, სატრანსპორტო არხების და გასაღების ბაზრების მოპოვებას. დღესდღეობით ნებისმიერი ქვეყნისთვის პუი-ს მოზიდვა ეკონომიკური განვითარების საწინდარია. მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები იყოს თანხვედრაში, რათა არ მოხდეს ეროვნული ინტერესების შელახვა. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების მხოლოდ პუი-ზე დამოკიდებულებას მივყავართ საფრთხეებამდე, რომელიც ჯაჭვურ რეაქციაში მოდის: უცხოური კაპიტალის შემოდინების შემცირება აღრმავებს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს. ეროვნულ ბანკს უწევს სავალუტო რეზერვების გამოყენება, რაც ამცირებს სავალუტო რეზერვებს. ამის გამო ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი განიცდის რყევებს. მცირდება ფულადი ბაზრის მოცულობა, რაც იწვევს იმპორტის და ადგილობრივ წარმოების მოცულობის შემცირებას. ყოველივე ამის გამო ფერხდება ეკონომიკური ზრდა, რაც უმუშევრობის და სოციალურ დაძაბულობის საწინდარია.

ჩვენ რომ ეს გავითავისოთ არ გვჭირდება ქვეყნების და წლების გახსენება. მიმდინარე პანდემიის გამო ეს ხდება აქ და ახლა. საქართველოში ვაჭრობის და მომსახურების სფეროები (ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი) მეტად განვითარებულია, ვიდრე სამრეწველო და სოფლის მეორნეობის დარგები. აღნიშნული ფაქტი გვხდის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად. მაშინ როცა პანდემის გამო მოხდა მსოფლიოს ბლოკირება, ქვეყნებმა აკრძალეს პირველადი სამომხმარებლო საქონლის ექსპორტი, მყისიერად ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების დაწერილმა კანონებმა იჩინა თავი. მართალია, საქართველოს ხელისუფლებამ არ დააყოვნა და ფორსირებულად დაიწყო ადგილობრივი ინვესტიციების წახალისება (ალბათ იმიტომაც, რომ პანდემიის და არასტაბილური პოლიტიკური გარემოს გამო ქვეყანა არ არის პუი-თვის მიმზიდველი), განსაკუთრებით გამოსარჩევია სოფლის მეურნეობაში დაანონსებული სუბსიდირება, თუმცა ა) დაგვიანებულია, რადგან მომავალ წელს ადგილობრივი წარმოების მხოლოდ ერთწლოვანი კულტურით მომარაგებულები შეგვიძია შევხვდეთ და ბ) არ არსეობს ქვეყნს მასშტაბით მიწის ანალიზის

ერთიანი სისტემა, პრობლემურია და დროში გაწელილი მიწის სარგებლობის პროცედურა.

ამრიგად, პუი-ზე ორიენტირება და უცხოური კაპიტალის მოსაზიდად მიმზიდველი გარემოს შექმნა რა თქმა უნდა ნებისმიერი მთავრობის პრიორიტეტია, თუმცა თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ინვესტორების ხელშეწყობა, რაც ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით არის შესაძლებელი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი შეფარდებითი უპირატესობის სრულ გამოყენებას, სამამულო საწარმოო და ტექნოლოგიური ბაზრის განვითარებას მოდერნიაციის საშუალებით. ამის მიღწევის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების(შემდგომში - გეზ) შექმნა.

„ გეზ არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფარგლებში მოქმედებს ამ ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებული განსაკუთრებული ეკონომიკური, საკანონმდებლო და სოციალური რეჟიმი, რის საშუალებითაც იქმნება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეებისათვის პრეფერენციების ერთიანი სისტემა“[41]

გლობალიზაციის პირობებში გეზ არის პუი-ის მოზიდვის მნიშვნელოვანი მექანიზმი და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების კარგი საშუალება. იგი წარმოადგენს ქვეყნის დანარჩენი ნაწილის ეკონომიკური განვითარების ლოკომოტივს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სადაც სტატისტიკურად ამგვარ „ზონებში“ ცხოვრების დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე ამავე ქვეყნის სხვა რეგიონში. დასაქმებულთა ხელფასი თითქმის 3ჯერ მაღალია, ამის გამო ადგილობრივები დიდი ენთუზიაზმით ისწრაფვიან გეზ-ში დასაქმებისთვის, შესაბამისად ხდება მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. გეზ-ის შექმნა უკავშირდება ხანგრძლივ და შრომატევად პროცესს, რამეთუ ის დაკავშირებულია სამართლებრივ, საფინანსო-საკრედიტო, ეკოლოგიური, საგადასახადო და სხვა პრობლემის მოგვარებასთან. ამასთან

[41] ბესიკ ალადაშვილი - „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“ გვ. 144. თბილისი 2011

ზოგიერთ ქვეყანაში გეზ-ის შექმნამ ვერ გამოიწვია ეკონომიკის წინსვლა(მექსიკა, ინდოეთი), მაშინ როცა ისეთი ქვეყნების, როგორიცაა ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, წარმატების ერთერთი საიდუმლო სწორედ „ზონების“ შექმნაშია.[42]

2007 წლის 3 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ , რომლის მიზანია შექმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისთვის. შეირჩა თბილისის, ქუთაისი და ფოთის ტერიტორიები. თუმცა, როგორ ეკონომიკურ პრექტშიც არ უნდა შედიოდეს ქვეყანა, იგი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს და უზრუნველყოფდეს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას. გეზ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ გლობალიზაციაში აქტიურ მონაწილეობას, თუმცა ეროვნული ინტერესების დაცვა ხელისუფლების მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

გეზ-ის არსებობა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის არსებობის პირობებში, იძლევა დადებით შედეგს, მაგრამ არსებობს საფრთხეები, რომლის შესახებ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, მაგალითად: როცა ამგვარ „ზონაში“ მოქმედი კომპანია, ცდილობს მიმღებ ქვეყანაში გაყიდოს პროდუქცია. მაშინ როცა გეზ, თავისი არსით, გულისხმობს საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებას (საქართველოში მოქმედი კანონი), ეს ხელოვნურ უპირატესობას აძლევს ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე მოქმედ კომპანისთან შედარებით.

გეზ-სთვის დამახასიათებელია შრომატევადი და ეკოლოგიურად მავნე პროდუქციის წარმოება. ამით უცხოური კომპანიები თავიდან იცილებელ საკუთარ ქვეყნის რეგულაციებს, ასევე მოგების სწრაფად მიღების მიზნით, კაპიტალს აბანდებენ არა მეცნიერებადტევად დარგებში, არამედ არასაწარმოო სფეროებში. და ა.შ.

შესაბამისად, საქართველოს მსგავსი ქვეყანა გლობალიზაციის პროცესში ყურადღებით უნდა იყოს ეკონომიკური საფრთხეების მიმართ და პოსტ-ფაქტუმ რეაგირების ნაცვლად, წინასწარ უნდა გათვალოს შესაძლო საფრთხეები და დასახოს გზები მათი თავიდან ასაცილებლად.

[42] ბესიკ ალადაშვილი - „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“ გვ. 146. თბილისი 2011

დასკვნა

ნაშრომში ეტაპობრივად განვიხილეთ საკვლევი კითხვების აქტუალობა, შევეცადეთ საინტერესოდ და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე თეორიული და პრაკტიკული მაგალითებით წარმოგვეჩინა ტრანსნაციონალური კორპორაციების და ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, განვითარების ეტაპზები და გადაკვეთის წერტილები. თავდაპირველი თანმიმდევრულობის დავცით შეგვიძლია დავასკვნათ:

პასუხი პირველ კითხვაზე - ტნკ არის ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო კომპანია, რომელსაც გააჩნია წარმოების საშუალებები რამდენიმე ქვეყანაში. დღესდღეობით, გლობალიზაციის ერაში, ტნკ-ები გვევლინებიან მსოფლიო ეკონომიკის წამყვან ლოკომოტივად. ისინი წარმოადგენენ მაღალინტეგრირებულ გაერთანებებს, რომლებიც ასტიმულირებენ მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შეუძლიათ გააძლიერონ ქვეყნების ეკონომიკა, გაზარდონ უცხოური ვალუტის მოცულობა, შექმნან სამუშაო ადგილები, სოციალური პასუხისმგებლობის ეგიდით გააუმჯობესონ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე. სწორედ ტნკ-ების საშუალებით ხდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, საკანონმდებლო ბაზის შექმნის ფორმირება (საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად) და კაპიტალის, წარმოების საშუალებების და შრომითი რესურსის გადაადგილება მთელი მსოფლიოს მაშტაბით.

პასუხი მეორე კითხვაზე: ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვას და განვითარებას. ის წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სასიცოხლო მნიშვნელობის ინდიკატორებს, მის წინაშე არსებული ამოცანების შეჯერებას და შესაბამისად პრიორიტეტების

ჩამოყალიბებას, ასევე სტრატეგიული პოლიტიკის შემოშავებას და მისი შესრულების კონტროლს.

პასუხი მესამე კითხვაზე: ერთის მხრივ ქვეყნების (განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი) წინაშე არის კონკრეტული ამოცანა: მოიზიდოს კაპიტალი საკუთარი ეკონომიკის გასავითარებლად, ასევე დანერგონ უახლესი ტექნოლოგიები წარმოების დარგებში უპირატესობის მოსაპოვებლად, რათა გაზარდონ საექსპოტო შესაძლებლობები. მეორეს მხრივ, არიან უამრავი კომპანიები მძლვარი რესურსებით, რომელთაც შეუძლიათ ამ პრობლემის მოგვარება, მაგრამ არის თუ არა ეს მოცემულობა საკმარისი და ანალიზის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება გამართლებული, რომ ეს თანამშრომლობა შედგეს? თუ ქვეყნის ინტერესები და პრიორიტეტები სწორად არის განსაზღვრული, გამოკვეთილია ის კრიტიკული პარამეტრები, რომლის დარღვევა საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს და უსაფრთხოებას, ამავე დროს, შემოსული კომპანია წინააღმდეგობაში არ მოდის აღნიშნულთან (და როგორც წესი, ტნკ-ების მომხამრებლურ მიზნებს - მიიღონ რაც შეიძლება მეტი სარგებელი, განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყნები საკუთარი მიზნებისთვის წარმატებით იყენებენ (მაგ: საუდის არაბეთ)) მაშინ თანამშრომლობა გარდაუვალია. ანუ როცა მიმღები ქვეყანა გადაწყვეტს, შეუქმნას ტნკ-ას მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, აუცილებელია გაეცნოს კომპანიის საქმიანობის ისეთ სპეციფიკას, რომელიც გავლენას ახდენს ეკოლოგიაზე, ბუნებრივ რესურსებზე, ჰაერის დაბინძურებაზე. მისთვის გაწეული შეღავათები ადგილობრივ ბიზნესს არაკონკურენტულ მდგომარეობაში ხომ არ აყენებს. როგორ აძლიერებს კომპანია ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობებს და როგორია უცხოური ვალუტის გადინების პოტენციური საფრთხეები, და ა.შ.

საერთო ჯამში, ქვეყნების და ტნკ-ების ურთიერთობებში ოქროს შუალედის პოვნა ორივე მხარის ვალდებულებაა და ასეთი დამოკიდებულება განსაზღვრავს თანამშრომლობის ხანგრძლივ და ნაყოფიერ ურთიერთობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ალადაშვილი ბ. „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“. საზოგადოება “ცოდნა“ თბილისი 2011 წელი

2) გასანოვი ა. „გეოპოლიტიკა“, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის აკადემია, ბაქო, 2012 წელი

3) თეთრუაშვილი ზ. და თეთრუაშვილი მ. „საქათველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობობეში“, შიდა ქართლის საერთო უნივერსიტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2006 წელი

4) მაისაია ვ. „შავი ზღვის აუზის რეგიონის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, პარიზი, 2003 წელი

5) ოთინაშვილი რ. „ეკონომიკური უსაფრთხოება“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2005 წელი

6) ჯოლია გ. „საეთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 2015 წელი

7) ჯოლია გ. „საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები“, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1998 წელი

8) R. J. Art and R. Jervis “International Politics Enduring Concepts and Contemporary Issues”, eighth edition, Pearson International Edition, USA, 2007

9) C. Baglery „Managers and the Legal Environment: Strategies for the 21st Century”, third ediion, West Educational Publishing Company, USA, 1999

10) A. Collins “Contemporary Security Studies”, second edition, Oxford University Press, New York, 2007

11) M. Dudin “International Practices to Improve Economic Security” in European Research Studies Journal, Volume 21, Issue 1, 2018

12) S. Ferdausy and S. Rahman “Impact of Multinational Corpratioons on Developing Countries” in Journal of Buisness Admministration, Vol.24, the Chittagong Uniersity, December 2009

13) J. Markusen and A. Venables “Multinational Firms and New Trade Theory”, National Bureau of Economic Research, Cambridge, 1995

14) D. Minix and S. Hawley “Global Politics“, International Thomson Publishing House. USA, 1998

15) T. Santos “The Structure of Dependence” in journal “American Economic Review” Vol.60, No.2, American Economic Association, USA, 1970

16) M. Slaughter “How U.S. Multinational Companies Stregthen the U.S. Economy”, Buisness Roundatable, U.S. Counicl Foundation, Washington, the USA, spring 2009

17) J. Spero and J.Hart “ThePolitics of International Economic Relations”, seventh edition, Wadsworth Cengage Learning, USA, 2010

18) J. Wallerstein “Geopolitics and Geoculture: Essays on the Change in World System”, Cambridge University, Great Britain, 1992

19) “World Investment Report 2006” by the UN Conference on Trade and Development, Geneva, 2006

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

1)https://www.britannica.com/topic/General-Motors-Corporation#ref337407

2)http://edition.cnn.com/2010/POLITICS/05/05/bp.lobbying/index.html

3)https://www.usnews.com/news/blogs/washington-whispers/2011/03/14/exxon-chevron-bp-greased-obamas-campaign

4)https://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2010/06/29/AR2010062903384.html

5)https://www.theguardian.com/business/2010/may/02/bp-deepwater-horizon-oil-spills

6)https://books.google.ge/books?id=wkUhBQAAQBAJ&pg=PT43&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

7)https://www.britannica.com/topic/BP-PLC
8)https://www.researchgate.net/publication/330637847_ekonomikuri_usaprtkhoeba_da_masze_mokmedi_paktorebi
9)https://www.economist.com/international/2013/05/25/unusual-suspects
10)https://www.newsweek.com/israels-aggressive-spying-us-mostly-hushed-250278
11)https://web.archive.org/web/20151016000311/http://www.nytimes.com/1991/09/14/news/14iht-spy_.html?pagewanted=1
12)https://www.nytimes.com/1993/04/30/world/us-expanding-its-effort-to-halt-spying-by-allies.html?pagewanted=1
13) https://www.ersj.eu/dmdocuments/2018_XXI_1_38.pdf
14)https://web.archive.org/web/20120518020821/http://www.mp.gov.in/bgtrrdmp/relief.ht
15)https://web.archive.org/web/20100624104141/http://www.first14.com/bhopal-gas-tragedy-92-injuries-termed-minor-822.html
16)https://docs.google.com/file/d/0B0FqO8XKy9NRZDNzTkZQeVJQbE0/edit?pli=1
17)https://www.business-humanrights.org/sites/default/files/documents/Dupont%20case.pdf
18)https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
19)http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=2717
20)https://www.globalpolicy.org/social-and-economic-policy/the-environment/general-analysis-on-the-environment/49383--controlling-transnational-corporations.html
21)https://www.asso-sherpa.org/wp-content/uploads/2017/04/Bhopal-ENGLISH-VERSION-1.pdf
22) https://www.bp.com/
23) https://www.gm.com/
24) https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0
25) https://www.radiotavisupleba.ge/a/1525001.html
26) https://www.radiotavisupleba.ge/a/1524994.html